სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკა რომელაშვილი

საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმი მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების წარმოშობის შემთხვევაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია ჭიღლაშვილი,

პროფესორი

გორი

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში ,,საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმი მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების წარმოშობის შემთხვევაში“ განხილულია ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საოჯახო სამართლის აქტუალურ საკითხებს მოიცავს.

ნაშრომში წარმოდგენილი თემები ეხება როგორც მოქმედი კანონმდებლობის კოლიზიურ ნორმებს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი ნორმების შედარებით ანალიზს.

თავდაპირველად განხილულია ქორწინების ინსტიტუტის ისტორიული ასპექტები. აქვე საუბარია მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ საკითხებზე. წარმოდგენილია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი და მასთან არსებული პრაქტიკული მაგალითები, რომელიც უკავშირდება თანასაკუთრების გაყოფის წესს და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა მიერ, თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი ხარვეზებს.

სამაგისტრო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილობის საკითხებს, ასევე ვიმსჯელეთ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებზე.

წარმოდგენილ ნაშრომში გადმოცემულია ისეთი საკითხები, რომლებიც მრავალი წელია საოჯახო სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს, რაზედაც დაფუძნებულია ოჯახის განვითარების მომავალი და მეუღლეთა თანასწორობის პრინციპი.

რაც შეეხება მეუღლეთა შორის სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებს ნაშრომზე მუშაობის პროცესში შევეცადეთ ახლებურად წარმოგვეჩინა აღნიშნული ინსტიტუტის მნიშვნელობა და აქტუალობა.

სარჩევი

შესავალი.....5

I თავი: ოჯახის ცნება და მისი ისტორიული წანამძღვრები……9

§1.1. ქორწინების სამართლებრივი ბუნება…….....16

§1.2. ქორწინების ფორმები რომაულ და ძველ ქართულ სამართალში……18

§1.3. ქორწინების რეგისტრაციის წესი და ქორწინების დამაბრკოლებელი

გარემოებები……21

II თავი საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება.....29

§ 2.1. საქორწინო ხელშეკრულების ცნება, მიზანი, ფორმა და შინაარსი ...32

§ 2.2. საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი 40

§ 2.3 პირადი არაქონებრივი უფლებები, საქორწინო ხელშეკრულების

პირობებში.....43

III თავი საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა.....44

§ 3.1. დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო

კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი.....45

§ 3.2. მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით

დაუშვებელია.....47

§ 3.3. საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილად ცნობის

სამართლებრივი საფუძვლები.....48

IV თავი: მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი უფლება-მოვალეობები საქორწინო კონტრაქტის პირობებში.....56

§ 4.1. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი საქორწინო ხელშეკრულების დროს.....59

§ 4.2. საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ....62

§ 4.3. სასამართლო პრაქტიკა საქორწინო ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებზე……63

დასკვნა.....65

ბიბლიოგრაფია.....67

შესავალი

ქართული კანონმდებლობის თანახმად, ქორწინება მეუღლეებს შორის წარმოშობილი მრავალმხრივი და რთული ურთიერთობაა. მათი განსაზღვრული ნაწილი ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება. საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში მეუღლეთა უფლება-მოვალეობები ხშირ შემთხვევაში მოდიფიცირებულ ხასიათს ღებულობს და შესაბამისად წარმოიშობა ახალი უფლება-მოვალეობები.

კერძო საკუთრებითი ურთიერთობები დღის წესრიგში აყენებს მეუღლეთა ტრადიციული ქონებრივი ურთიერთობების ახლებურად გააზრების აუცილებლობას.

სოციალურ სახელმწიფოში ყოველ მოქალაქეს და მათ შორის მეუღლეებსაც ჰქონდათ შრომითი შემოსავალი და ეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით ხდებოდა, თუმცა ასევე შესაძლებელი იყო არაშრომითი შემოსავლის მფლობელი პირი პასუხისგებაშიც მიეცათ და მათ არ შეეძლოთ ამ კანონმდებლობიდან გადაეხვიათ.

დღევანდელი კანონმდებლობა კი იმის საშუალებას იძლევა, რომ მეუღლეებს დამოუკიდებლად ჰქონდეთ კერძო საკუთრება და შესაბამისად, უფლება აქვთ განკარგონ იგი.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობაში შემოვიდა სახელშეკრულებო-ქონებრივი ანუ საქორწინო-საკონტრაქტო ურთიერთობა, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს მხარეთა ინტერესების დარღვევას.

ამდენად, დღევანდელი კანონმდებლობით მეუღლეებს თავისუფლად შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი

უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინების დროს.

კანონის მიხედვით, მეუღლეებს შორის გაფორმებული საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლებს. მართალია, საქორწინო კონტრაქტის დადება სავალდებულო არ არის და იგი წყვილის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა თუ ეს ხელშეკრულება დაიდო იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივ ხასიათს იძენს და მათ შორის ყალიბდება ქონებრივი ვალდებულებებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ქონებრივი უფლებების განსაზღვრული ნაწილი პირს შეიძლება ქორწინებამდეც ჰქონდეს, მაგრამ დაქორწინება, საოჯახო ურთიერთობათა ფარგლებში მოხვედრილ ქონებრივ ურთიერთობას განსაკუთრებულ სპეციფიკას ანიჭებს. ამის დადასტურებას წარმოადგენს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ინსტიტუტის არსებობა. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა კანონით გარანტირებულია.

ქალისა და მამაკაცის უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრებისთვის ბრძოლა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების პროგრესულობის მაჩვენებელს, რადგან ქალთა უფლებები ადრეულ ხანაში გაცილებით დაბალ დონეზე იდგა. თუმცა ეტაპობრივად დაიწყო ცვლილებები და შესამჩნევი პროგრესი განიცადა, შემდგომში მათ უკვე შეეძლოთ უძრავი და მოძრავი ქონების დამოუკიდებლად განკარგვაც.

ძველი ქართული სამართლიდან დღემდე ცვლილებები განიცადა საქორწინო ხელშეკრულებამაც და დღესდღეობით აქტუალურია ამ ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობა. თუმცა, როგორც წინა პერიოდში ახლაც, არსებობს დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც მეუღლეებს არ სურთ ამ ხელშეკრულების გაფორმება და საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავს იკავებს.

ნაწილი ადამიანებისა ირჩევს არ გააფორმონ ქორწინების ხელშეკრულება, რათა თავიდან აიცილონ ამ ქორწინების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობები, ეს იქნება პირადი თუ ქონებრივი. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ ეს ხელშეკრულება არ წარმოშობს ქორწინების გარანტს.

განსხვავებული მოსაზრება აქვს საზოგადოების მეორე ნაწილს, რომელიც თანაცხოვრებას აფორმებს ამ ხელშეკრულებით და იძენს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს. ისინი თვლიან, რომ ეს აუცილებელია სამართლებრივი თვალსაზრისითაც. საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ნორმებიც დროთა განმავლობაში მოითხოვს გარკვეული სახით დახვეწას და სრულყოფას ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კანონმდებლობა.

  უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შერჩეული საკითხის შესწავლა თანამედროვე სამყაროში ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რამეთუ მის ამოქმედებას აქვს გარკვეული დადებითი მხარეები, რომლის წარმოჩენაც ჩვენი პრიორიტეტია, თუმცა აქვე გვექნება საუბარი საქორწინო ხელშეკრულების საპირისპირო მხარეზეც.

ნაშრომის მიზანია - საქორწინო ხელშეკრულების დროს ქონებრივი უფლება-მოვალეობების პრობლემატიკის წარმოჩენა, აღნიშნულ თემატიკაზე სხვადსხვა სამეცნიერო ლიტერატურას, საფუძვლიანად შევისაწვლეთ საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითებთან მიმართებით.

არანაკლებ აქტუალურია სადაო საკითხების შესწავლა საოჯახო სამართალში, როგორიცაა, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა, ქორწინების ხელშეკრულების გაფორმება, შეწყვეტა, ბათილობა და სხვა სამართლებრივი ურთიერთობები.

ნაშრომის ამოცანაა:

- საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებების წარმოჩენა
- მეუღლეთა პირადი ურთიერთობების სამართლებრივი ანალიზი
- მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფის დროს წარმოშობილი ხარვეზების განხილვა
- საოჯახო სამართალში საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილად ცნობის სამართლებრივი რეგულაციები.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა აგებულია ისტორიულ-სამართლებრივ მეთოდებზე, გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომლის საფუძველზეც მეტად გამოიკვეთა მეუღლეთა პირადი და თანაზიარი ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი ტენდენციები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია კვლევის მიზნებით, ამოცანებითა და შინაარსით. ნაშრომი მოიცავს დადგენილი სტანდარტებით ნაბეჭდ ---- გვერდს. იგი შედგება ანოტაციის, შესავალის, 4 თავის, 12 ქვეთავისა და დასკვნისაგან. სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს კი თანდართულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

პირველ თავში წარმოდგენილია ოჯახის ცნება და მისი ისტორიული წანამძღვრები, ასევე საუბარია ქორწინების სამართლებრივ ბუნებასა და ფორმებზე, ძველ რომსა და ქართულ სამართალში. აღნიშნული თავის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი დაქორწინების წესი და ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებებია.

მეორე თავში შესწავლილია საქორწინო კონტრაქტის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებები, რაც თავის მხრივ უკავშირდება საქორწინო ხელშეკრულების ცნებასა და შინაარსს. ამავე თავში განხილულია საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი ინსტიტუტი და პირადი არაქონებრივი უფლებები საქორწინო ხელშეკრულების პირობებში.

მესამე თავი: მოიცავს საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას. მოვალეობებს, რომელთა შეცვლაც დაუშვებელია საქორწინო ხელშეკრულებით. აქვე მოცემულია დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი. ამავე თავში განვიხილეთ საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილად ცნობის სამართლებივი საფუძვლები.

მეოთხე თავში კი საუბარია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესსა და საქორწინო ხელშეკრულების პირობებზე. აღნიშნულ თავში განვიხილეთ საქორწინო კონტრაქტის შეცვლის საკითხი და ასევე გავეცანით სასამართლო პრაქტიკას საქორწინო ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებზე.

I თავი: ოჯახის ცნება და მისი ისტორიული წანამძღვრები

ოჯახი რთული სოციალური ფენომენია. საზოგადოებრივ ურთიერთობათა არც ერთი ფორმა არ წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვანს და მრავალმხრივს, უძვლესსა და აუცილებელს, როგორც ქორწინება და ოჯახია. იგი საზოგადოების აღწარმოების და მისი განვითარების უპირველესი საფუძველია.[1]

ოჯახი ეს არის სამართლებრივი კავშირი, რომელსაც მრავალფეროვანი ისტორია აქვს. იგი საზოგადოების განვითარებისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან პროცესებსა და ცვლილებებს მოიცავს. სამართლის მეცნიერები ,,ოჯახს“ მიიჩნევენ, როგორც საოჯახო ურთიერთობების სუბიექტთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის წინაპირობას.

საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე, როცა ადამიანები ჯოგებად ცხოვრობდნენ, მათ არ ჰქონდათ მყარი საცხოვრებელი ადგილი, სამეტყველო ენა და საკუთრება. ჯოგური ცხოვრება მათი თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. პარალელურად ისინი ქმნიდნენ შრომის უმარტივეს იარაღებს, რომლებსაც საარსებოდ აუცილებელი საკვების მოსაპოვებლად იყენებდნენ. ამ ფაქტორების საფუძველზე ადამიანებმა მოახერხეს ზოოლოგიურიდან საზოგადოებრივ მდგომარეობაში გადასვლა. მიუხედავად ამისა, მათ შორის ადგილი ჰქონდა მოუწესრიგებელ სქესობრივ ურთიერთობას. არ იყო ჩამოყალიბებული ქორწინებისა და ოჯახის საწყისი ფორმებიც კი, ჯოგის ყველა ქალი ყველა მამაკაცს ეკუთვნოდა. სქესთა შორის ურთიერთობა არავითარ შეზღუდვას არ ცნობდა.[2]

---

[1] რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".

[2] რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.18: გამომცემლობა "მერიდიანი".

განვითარების შემდგომ ეტაპზე მოხდა შრომითი ფუნქციების ბუნებრივი დანაწილება სქესთა და ასაკის მიხედვით. მამაკაცების ძირითადი საქმიანობა იყო ნადირობაში დახელოვნება, ხოლო ქალები მცენარეული საკვების მოპოვებასა და მათ დამუშავებაში. ასე ჩამოყალიბდა პირველყოფილი თემური წყობილება. საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე შეიქმნა პირველი საოჯახო ფორმა, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სისხლით ნათესაობით. პირველყოფილ თემში აკრძალული იყო სქესობრივი კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის, ასევე წინაპრებსა და შთამომავლებს შორის. ოჯახის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და აიკრძალა და-ძმას შორის ცოლქმრული ურთიერთობა.[3]

საერთო ოჯახში ცოლების განსაკუთრებულმა მდგომარეობამ შვილების აღზრდისა და საოჯახო მეურნეობის წარმართვის სფეროში შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია მატრიარქატის არსებობა. ამის შემდგომ ქალებს წარმოეშვათ ის უფლებები, რომელიც მანამდე არ გააჩნდათ. ჯგუფურიდან წყვილად გადასვლის პროცესს მატრიარქატის განვითარებამ დაუდო საფუძველი და დაქორწინების ინიციატორი ქალი გახდა. ქალი არჩევდა ქმრად მამაკაცს და ამასთანავე შეიქმნა პრიმიტიული საქორწინო ცერემონიალის ფორმებიც.[4]

წყვილად ქორწინების დამკვიდრების პარალელურად კვლავ რჩებოდა ჯგუფური ქორწინების ისეთი გადმონაშთები, როგორიცაა: მრავალქმრიანობა (პოლიანდრია),

---

[3] შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, 21-22.

[4] შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, 23.

ერთი მამაკაცის რამოდენიმე დაზე დაქორწინება (სორორატი), ქვრივი ქალის დაქორწინება გარდაცვლილი ქმრის ძმაზე (ლევირატი) და სხვა.[5]

წყვილად ქორწინების დროს უკვე მამაკაცი ხდებოდა ოჯახის მეთაური, მისი შრომა უფრო ეფექტური და მიშვნელოვანი იყო, რაც გამოწვეული იყო მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარებით, რადგან მამაკაცის დიდი როლი იყო მათ წარმართვაში. ქალის ძირითადი ფუნქცია ბავშვის შობა და მოვლა იყო. ასე მიმდინარეობდა მატრიარქატიდან პატრიარქალურ ოჯახებზე გადასვლა. ქალი ქმრის მსახურად და მისი ნების შემსრულებლად გადაიქცა. ქმარს ყოველთვის ჰქონდა ერთქორწინების პრინციპის დარღვევის უფლება. მამაკაცს შეეძლო ეყიდა საცოლე, გაეყიდა ან გაექირავებინა ოჯახის ნებისმიერი წევრი. ცოლი და შვილები მამაკაცის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. მამის და ქმრის დესპოტური უფლებების ფონზე არარაობად ჩანდა ის უმნიშვნელო უფლებები რომლებიც ფორმალურად გააჩნდათ დედებსა და შვილებს.[6]

მონათმფლობელობიდან მოყოლებული საუკუნეების მანძილზე მეტ-ნაკლები სისრულითა და ხარისხით ხდებოდა მონოგამიური ოჯახის განვითარება, მაგრამ უმეტესად ეს მამაკაცის უფლებების გაფართოებისა და ქალის უფლებრივი შეზღუდვის ასპარეზი იყო. დიდი ხნის მანძილზე საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი უთანასწორობა საოჯახო ურთიერთობათა განვითარების პროცესზე უარყოფითად მოქმედებდა. მხოლოდ

5

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.21: გამომცემლობა "მერიდიანი".

6

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი.

უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა ოჯახის განმტკიციბისა და უმაღლეს ფორმამდე აყვანის შესასძლებლობა.[7]

ტერმინი ,,ოჯახი“ თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს კერას, სახლს, სასახლეულს. იგი ძველ ქართულში არ გვხვდება. მის სინონიმად გამიყენებოდა ,,სახლი“, რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისგან შემდგარი პატარა ერთობის აღმნიშვნელი იყო. ,,ოჯახი“ შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა ,,სახლს“. მის პარალელურად დამკვიდრდა ,,კომლის“ ცნებაც. [8]

თანამედროვე გაგებით, ოჯახი არსებითად იგივე შინაარსისაა, თუმცა ხასიათდება ბევრი სპეციფიკური თავისებურებით. არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნება.

სოციოლოგირი გაგებით ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვების აღზრდაზე დაფუძებული კავშირი, რომელიც განპირობებულია ერთად ცხოვრების , ინტერესთა ერთიანობისა და ურთიერთზრუნვის ფაქტორით.[9] ოჯახური კავშირი მეტად რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს,რომელშიც ასევე აისახება საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამისი თავისებურებანი.

ოჯახში ერთმანეთს ერწყმის ბუნებრივ-ბიოლოგიური და მატერიალურ-ეკონომიკური საწყისები. პირველი ძირითადად, ვლინდება ბავშვების შობადობისა

7

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:22-23.

8

ჯავახიშვილი, ი. (2002). *ენციკლოპედიური ლექსიკონი.* . (მ. რ. რ.მეტრეველი, რედ.) თბილისი.

9

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.10: გამომცემლობა "მერიდიანი".

და საზოგადოების აღწარმოების ფუნქციის განხორციელებაში. მეორე საწყისი თავის გამოხატულებას პოულობს ოჯახის წევრთა მიერ საოჯახო მეურნეობის წარმართვასა და მატერიალურ სიკეთეთა შექმნა- გამრავლებაში.[10]

თანამედროვე ოჯახი ხელს უწყობს ადამიანის შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას. ოჯახი იძლევა იმის რწმენას, რომ ადამიანს შრომითი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება უმიზნოდ კი არ ექნება გახარჯული, არამედ მოხმარდება ოჯახის წევრთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ბიოლოგიური და ეკონომიკური საწყისების ერთიანობა განაპირობებს ოჯახის შექმნის და მისი არსებობის დროს წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკურ ხასიათს. აქ უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საოჯახო ურთიერთობათა დაყოფა პირად და ქონებრივ ურთიერთობებად. ოჯახის შექმნის საფუძველი უმეტესად ქორწინებაა. ამიტომ ცოლ-ქმარი საწყის ეტაპზე ოჯახის წევრებს წარმოადგენენ, შემდგომ მათ ურთიერთობებს ლოგიკურად მოჰყვება ბავშვების გაჩენა, რაც მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საფუძველი ხდება.

სამართლებრივი გაგებით, ოჯახი მისი წევრების იურიდიული კავშირია. საოჯახო ურთიერთობებს იურიდიულ ხასიათს ანიჭებს მათი რეგულირება სამართლებრივი ნორმებით. ეს კი შესაძლებელია ოჯახის წევრთა ქცევაზე სახელმწიფოს მხრივ ზემოქმედების შესაძლებლობისა და საზღვრების ფარგლებში სავალდებულო წესების მოქმედების დადგენით. საოჯახო ურთიერთობათა განსაზღვრული ნაწილი სამართლებრივი ზემოქმედების გარეთ რჩება. ისინი ძირითადად ზნეობრივი ნორმებით რეგულირდებიან.[11]

10

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი.

11

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.12-13: გამომცემლობა "მერიდიანი".

მაგალითად არ შეიძლება, სამართალმა განსაზღვროს ცოლქმრული ერთგულება, ან თუნდაც მშობლებისა და შვილების ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ხარისხი. სწორედ ასეთი კავშირის დადასტურებას წარმოადგენს ცოლ-ქმარს შორის ისეთი საქორწინო ურთიერთობების არსებობა, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ქორწინება. ასეთ რეგისტარციას კონსტიტუციური მნიშვნელობა გააჩნია. ოჯახი არის იმ პირთა წრე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანის ან ბავშვის აღსაზრდელად მიღების სხვა ფორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით. [12]

ოჯახის როგორც სოციოლოგიური, ისე სამართლებრივი გაგება შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაცაა. ოჯახი როგორც სამართლებრივი კავშირი, მაშინაც ინარჩუნებს თავის სახეს, როცა იგი უკვე აღარ არსებობს. ოჯახის არაერთგვაროვანი გაგება განაპირობებს მისი შემადგენლობისადმი სხვადასხვანაირ მიდგომას თვით სამართლებრივი გაგების ფარგლებში.[13]

ოჯახის არაერთგვაროვანი გაგება განაპირობებს მისი შემადგენლობისადმი სხვადასხვანაირ მიდგომას, თვით სამართლებრივი გაგების ფარგლებში. კანონმდებლობით ოჯახის ცნება დაზუსტებულია და ასევე მისი სტატუსიც განსაზღვრულია. ოჯახის წევრთა სამართლებრივი კავშირის ანალიზისას ძირითადად საოჯახო სამართლის რეგულირების სფერო და მიზნები უნდა იყოს

12

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, 13-15.

13

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი,

მხედველობაში მიღებული, რადგან სხვა დარგებისთვის საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგება არ არის დამახასიათებელი.[14]

ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობანი, მიუხედავად იმისა, რომ ქალი და მამაკაცი ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობაც გააჩნიათ, საოჯახო უფლებებისა და მოვალეობების არსებობის დასტურად არ გამოდგება, ვინაიდან სახეზე არ არის ოჯახის შექმნის უმთავრესი იურიდული ფაქტი - ქორწინება.[15]

§1.1. ქორწინების სამართლებრივი ბუნება

თანამედროვე საოჯახო სამართალში წარმოდგენილი მოსაზრების თანახმად, ქორწინება არის ქალსა და მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. ქორწინება წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის კავშირს, რადგან საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ კავშირს ცნობს. ქორწინება არის ოჯახის საფუძველი და მასში მოცემულია ისეთი ურთიერთობები მამაკაცსა და ქალს შორის, რომელთაც ადამიანის მოდგმის გაგრძელების მიზნით თვით ბუნება განაპირობებს. ქორწინებით ხდება ზნეობრივი, სულიერი და ამასთანავე პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გაერთიანება. ქორწინება ოჯახის შექმნისა და თანაცხოვრების გარანტს წარმოადგენს. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე ქორწინების ცნება არ

14

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:15-16.

15

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.15: გამომცემლობა "მერიდიანი".

არსებობდა იურიდიულ ლიტერატურაში. საქორწინო კანონმდებლობით დადგენილი ქორწინების ცნების დეფინიციის არსებობას ავტორები იმით ხსნიდნენ, რომ ქორწინება არა მხოლოდ სამართლებრივი არამედ ეთნიკური ნორმებისა და ეკონომიკური კანონების ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომპლექსური სოციალური მოვლენაა. შეუძლებელია ქორწინების მხოლოდ სამართლებრივი პოზიციებიდან განსაზღვრა, მითუმეტეს ქორწინების სულიერი და ფიზიკური ელემენტების სამართლებრივი გზით რეგულირება.

ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ პირად და ქონებრივ უფლებამოვალეობებს, რომელიც ძალაში შედის სახელმწიფოს რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის გარეშე ქორწინება არ წარმოიშობა. ჯვრისწერას ან სხვა მსგავს ღონისძიებებს სამართლებრივი ძალა არ გააჩნიათ. სახელმწიფო კანონმდებლობის მეშვეობით ადგენს ორი ძირითად პირობას ქორწინების რეგისტრაციისთვის.

- დასაქორწინებელი წყვილის თანხმობა, რომელსაც ისინი ხელმოწერით ადასტურებენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში
- მათი ასაკი - ქორწინება დაიშვება 18 წელს მიღწეულ პირებს შორის.[16]

ეს ასაკი განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ამ დროისათვის პირი არის სრულად ქმედუნარიანი და მას აქვს შესაძლებლობა ეკონომიკური და გონებრივი თვალსაზრისით ოჯახს დამოუკიდებლად გაუძღვეს. თუმცა ადრე მოქმედი კანონმდებლობით, 16 წლის ასაკიდან შეეძლოთ ქორწინება - კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის შემთხვევაში. რაც უკვე წარმოშობდა პირის სრულ ქმედუნარიანობას. კანონმდებლობაში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა ცვლილებამ აღნიშნული ქმედება დაუშვებლად ცნო. ამ ეტაპზე

16

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი, გამომცემლობა "სამართალი".

ქორწინების აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს დასაქორწინებელ პირთა ურთიერთთანხმობა.[17]

ნების თავისუფალი გამოვლენა მთელი საოჯახო ურთიერთობის სიმტკიცის ამოსავალი პრინციპია. ამ პრინციპის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან მისი დარღვევა ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთანაც კი არის დაკავშირებული. ქორწინება არის ხელშეკრულება, ან შეთანხმება პირთა შორის, რომელიც განამტკიცებს მხარეთა შორის სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.

§1.2 ქორწინების ფორმები რომაულ და ძელ ქართულ სამართალში

ქორწინება წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და უძველეს ინსტიტუტს, რომელიც განაპირობებს საზოგადოების წევრთა განვითარებას . მამაკაცსა და ქალს შორის არსებული კავშირი დამოკიდებულია მხარეთა ნება-სურვილზე, რომელიც ხორციელდება გარიგების დადების გზით. რომის სამართალში ქორწინება დგებოდა მექორწინეთა ნებით, იმგვარად, რომ მხარეები ითვალისწინებდნენ სახელმწიფო ინტერესებს, თუ სახელმწიფო არ აღიარებდა მხარეთა შორის ქორწინებას, იგი იყო ბათილი. რომაელი იურისტები ხაზგასმით უთითებენ მექორწინეთა ნებაზე ქორწინებაში ყოფასთან დაკავშირებით. ამ სურვილის არ არსებობა იყო ქორწინების შეწყვეტის საფუძველი[18]

17

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი, გამომცემლობა "სამართალი".

18

რ.შენგელია, ე. შ. (2015). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი, 59-60.

ქორწინების რომაულ განმარტებას პირველად ეხება იურისტი მოდესტინუსი: ,, ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“[19] რაც გულისხმობდა მეუღლეთა სამუდამო კავშირს და კრძალავდა განქორწინებას, თუმცა რომის სამართალი იცნობდა განქორწინების მრავალ საფუძველს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოდესტინუსის აღნიშნული განმარტება არ იყო გამოყენებადი და მიზნად ისახავდა იმდროინდელ გარყვნილ ურთიერთობათა აღმოფხვრას.[20]

რომაული კანონმდებლობა განამტკიცებდა ორი ტიპის ქორწინებას. ერთი, ეს იყო ნამდვილი ქორწინება, რომელიც საჯაროდ იყო აღიარებული და რეგისტრირდებოდა, როგორც ქალისა და მამაკაცის სამუდამო კავშირი, ხოლო მეორე იყო კონკუბინატი, ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი კავშირი, გამრავლების მიზნით, რომელიც აწესრიგებდა ქალისა და მამაკაცის უფლება-მოვალეობებს, მემკვიდრეობის უფლებებს და სხვა, თუმცა აღნიშნულიც განმტკიცებული იყო კანონით. საინტერესოა არსებობდა თუ არა ეს ორი ტიპის ქორწინება საქართველოში. კონკუბინატი საქართველოში არ არსებობდა თუმცა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით საქართველოშიც ყოფილა უკანონო ქორწინების სახეები. რადგან ზოგიერთს ჰყავდა უკანონო ცოლი. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსთა აღწერილობიდან ირკვევა, რომ გიორგი მესამეს ჰყავდა ხარჭა. სამღვდელოება მას კრძალავდა და მრუშობად მიიჩნევდა.[21]

19

დიგესტები. (თ. გ.). *წიგნი 23-ე, ტიტული მე-2, მუხლი 1-ლი.*

20

რ.შენგელია, ე. შ. (2015). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი, 61.

21

ლ.ჭიღლაშვილი, (2016) *ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები საქართველოს კანონმდებლობით, დისერტაცია*

ცნობილი რუსი მეცნიერის ა.ი.პოკროვსკის განმარტებით რომში არსებობდა სამი ფორმის ქორწინება: რელიგიური ქორწინება, ყიდვით ქორწინება და თხოვებით ქორწინება. რელიგიური ქორწინება სრულდებოდა ათი მოწმის, ათი კურიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ქორწინებას ესწრებოდნენ ქურუმებიც, ტარდებოდა მთელი რიგი რელიგიური რიტუალები, რა დროსაც მთავარი იყო ქალისა და მამაკაცის მიერ ნაკურთხი ხორბლის გასინჯვისა და იუპიტერისთვის შეწირვის რიტუალი. ამგვარი ქორწინება საქართველოში არ არსებობდა. იგი უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე სამოქალაქო გარიგება. ,,ქორწინება ერთსა და იმავე დროს განიხილება როგორც რელიგიური საიდუმლოება, ისე სამოქალაქო ხელშეკრულება".[22]

ქორწინების მეორე ფორმა - სამოქალაქო ქორწინება, paterfamilias-გან ცოლის ყიდვა იყო, რომელიც თითქმის მონის ყიდვას ჰგავდა, რა დროსაც ცოლი ქმრის საკუთრების ქვეშ ექცეოდა, ხოლო, რაც შეეება, ქორწინების მესამე ფორმას, იგი წარმოადგენდა ქალისა და მამაკაცის ხანგრძლივ ფაქტობრივ თანაცხოვრებას, რომელიც ჰგავდა ნივთზე სარგებლობისას ხანდაზმულობით მოპოვებულ საკუთრებას, რა დროსაც ქალი შედიოდა მამაკაცის ოჯახში მოლაპარაკების გზით, ერთი წლის ხანგრძლივობით. იგი იყო ფაქტობრივი მეუღლე და არ ითვლებოდა ქმრის ოჯახის წევრად. ის არ იყო ნივთი, ის იყო თავისუფალი. იმისთვის რომ თავისუფლება შეენარჩუნებინა, წელიწადში ერთხელ სამი დღე-ღამით გაიპარებოდა ქმრის ოთახიდან.[23]

22

ნადარეიშვილი, გ. (1996). *ძველი ქართული საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:26.

23

რ.შენგელია, ე. შ. (2015). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი, 63-65.

,,გათხოვება" ქართულ ენაზე ქალის დაქორწინებას ნიშნავდა, საკითხავია საქართველოში ქორწინების თავდაპირველი ფორმა ხომ არ იყო ქალის შესვლა ოჯახში დროებით და არა სამუდამოდ? ქართული ტერმინის, ,,გათხოვების" შემოღებით სავარაუდოა, რომ მონოგამიური ოჯახის პირველი ფორმა იყო sine manus ანუ ,,გათხოვება:, როდესაც ქალი შედიოდა კაცის ოჯახში დროებით და არა სამუდამოდ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი ქალი ბრუნდებოდა მამის ოჯახში, რადგან ამ დროისათვის ქალის ერთადერთი დანიშნულება გვარის გამრავლება იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად საქართველოში იყო ,,გათხოვება, ანუ sine manus.[24]

საქართველოში ქორწინების თავდაპირველ წესებს ეხება პროფესორი ივ. ჯავახიშვილი და აღნიშნავს, რომ უძველესი წყაროებიდან ძალიან ცოტა ცნობა არის შემორჩენილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ისიც სხვადასხვა დროის, რომელიც ეხება ქორწინების წესების განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ეს ცნობები ძირითადად მოიცავს გაქრისტიანებულ საქართველოში მოქმედ წესებს, რომელიც მიზნად ისახავდა წარმართული ჩვეულებების აღმოფხვრას. უმეტესად კი საუბრობს წარსულში მომქედ ქალის მოტაცების ტრადიციაზე, რომელიც ქართველმა ერმა წარმატებით უარყო და ადგილი დაუთმო ქორწინებას მშვიდობიანი შეთანხმების გზით.[25] გარიგებით ქორწინების არსებობის ნათელი მაგალითია სვანური ადათ-წესების საფძველზე შესრულებული ქორწინებაც, სადაც, თუ მრავალპუნქტიანი შეთანხმების, რომელიმე პუნქტი დაირღვეოდა გარიგება იშლებოდა.[26] ამდენად,

---

24

რ.შენგელია, ე. შ. (2015). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი, 68-69.

25

რ.შენგელია, ე. შ. (2015). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი, გვ;70-72.

26

რ.შენგელია, ე. შ. (2015). *საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი.* თბილისი, გვ;84.

რომაული სამართლის მსგავსად საქართველოშიც არსებობდა ქორწინების ისეთი უძველესი ფორმები, როგორიცაა: ქალის მოტაცებით ქორწინება, გათხოვება და ასევე გარიგებით ქორწინება.

ამდენად, ქორწინება არის უძველესი ინსტიტუტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადიოდა განვითარების სხვადასხვა ეტაპს და აძლევდა ქალსა და მამაკაცს შესაძლებლობას შეექმნათ ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული მტკიცე ოჯახი.

§1.3.ქორწინების რეგისტრაციის წესი და ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ისე თვით მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან მყარი ოჯახი და ჰყავდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა. ქორწინების რეგისტრაციის შესახებ მონაცემების არარსებობისას, თუ ამავე დროს ქორწინების მოწმობაც დაკარგულია, სასამართლოს შეუძლია სხვა დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე ცნოს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი, რაც ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობათა კანონიერად ცნობისგან განსხვავდება. ასევე შესაძლებელია ძველი წესების თანახმად ეკლესიებსა და სამხედრო ნაწილებში განხორციელებული ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის ცნობა. ამ შემთხვევაშიც მოხდება ქორწინების კანონიერების დადასტურება. [27]

---

[27]შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:93-94.

ქორწინების გაფორმება ხდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ, რომელსაც განცახდებით უნდა მიმართონ მექორწინეებმა. კანონით მექორწინეთა განცხადებას ძალა აქვს შეტანიდან ორი თვის განმავლობაში. ამასთან მათ უფლება აქვთ მიუთითონ კონკრეტულ დღეზე, როცა ქორწინების რეგისტრაცია სურთ. მათ შეუძლიათ მოითხოვონ ადრე მითითებული ვადის შეცვლა როგორც შემცირების, ისე გაზრდის მიზნით. ადრინდელი წესის მიხედვით აუცილებელი იყო განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრაციამდე ერთთვიანი ვადის გასვლა, რათა შექმნილიყო მომავალი ოჯახის სიმტკიცის ერთგვარი გარანტია.[28]

ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ განცხადება ძალას კარგავს. წყვილს თუ ისევ სურთ დაქორწინება, მათ თავიდან უნდა მიმართონ სახელწიფო სარეგისტრაციო ორგანოს ახალი განცხადებით.

წყვილს შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ იმ საფუძვლით, რომ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში შეტანილი განცხადებები სიმრავლის გამო ზღვარს გადასცდა. ასეთ შემთხვევაში მექორწინეებს შეუძლიათ დაელოდონ შეთავაზებულ დროს ან მიმართონ სხვა ტერიტორიულ სარეგისტრაციო ორგანოს. რა თქმა უნდა ქორწინების რეგისტრაციისთვის აუცილებელია რომ დასაქორწინებელი პირები უშუალოდ მონაწილეობდნენ ქორწინების პროცესში. არ შეიძლება წარმომადგენლის მეშვეობით დაქორწინება. თუმცა მე-12 საკუნემდე ეს ტრადიცია არსებობდა და მას ,,კიდით კიდე გვირგვინთა კურთხევა“ ეწოდებოდა.

საქორწინო განცხადების მიღების დროს სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია მექორწინეებს გააცნოს ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი, ქორწინების რეგისტრაციის დანიშნულება და ის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც

---

[28] რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.93-94: გამომცემლობა "მერიდიანი".

წარმოეშობათ მექორწინეებს, როგორც მეუღლეებს და შემდეგ როგორც მშობლებს.[29] ქორწინებისთვის სზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მინიჭებისა და ოჯახის სიმტკიცისათვის ახლობელთა და ნათესავთა მხრივ ზნეობრივ ვალდებულებათა დამკვიდრების მიზნით, აგრეთვე ქორწინებისათვის საჯარო ხასიათის მისაკუთნებლად კანონი აუცილებელს ხდის ქორწინების რეგისტრაციისას ორი ან მეტი სრულწლოვანი მოწმის მონაწილეობას.[30]

ქორწინების რეგისტრაციის დროს შესაძლებელია სხვა პირებიც ესწრებოდნენ, თუმცა მათგან მხოლოდ ორი უნდა იყოს ოფიციალური მოწმე. ქორწინების რეგისტრაციისას ოფიციალური მოწმეთა დასწრებას ის მნიშვნელობა გააჩნია, რომ მათი დახმარებით შესაძლებელია სასამართლომ აღადგინოს განადგურებული სარეგისტრაციო მასალები და ამის მეშვეობით დაადგინოს მათი რეგისტრაციის ფაქტი. თუ მექორწინეები არასრულწლოვნები არიან, არ შეიძლება რომ მათ ჰყავდეთ არასრულწლოვანი მოწმეები, ქორწინების რეგისტრაციისთვის სავალდებულოა ორი მოწმე იყოს სრულწლოვანი. ქორწინების რეგისტრაციის ბოლო ეტაპია სარეგისტრაციო წიგნში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ: მექორწინეები, მოწმეები და სარეგისტრაციო თანამდებობის პირი. მათ მიერ შედგენილი დოკუმენტი დასტურდება ბეჭდით. ქორწინების რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ მეუღლეებს ეძლევათ ქორწინების მოწმობა.[31]

29

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.99-100: გამომცემლობა "მერიდიანი".

30

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.100: გამომცემლობა "მერიდიანი".

31

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.102-103: გამომცემლობა "მერიდიანი".

ქორწინების სარეგისტრაციო ორგანომ შესაძლებელია მექორწინეებს უარი განუცხადოს ქორწინების რეგისტრაციაზე და ეს პრაქტიკაში გამოყენებულია, უარი შეიძლება ეთქვათ სხვადასხვა მიზეზით. დაქორწინების წესი და პირობები ბევრ ისეთ მომენტს მოიცავს, რომელთა მიმართ სარეგისტრაციო ორგანოს დამოკიდებულება არაერთგვაროვანი შეიძლება იყოს. მაგალითად, საქორწინო ასაკის ზუსტი დღის დადგენის, ახლო ნათესაობის ხარისხის განსაზღვრის ან რომელიმეს ავადმყოფობის ქორწინებისთვის ხელის შემშლელ გარემოებად ჩათვლის საკითხის გადაწყვეტისას დაინტერესებულმა პირმა შეიძლება სარეგისტრაციო ორგანოს პოზიცია არასწორად მიიჩნიოს. [32]

დაქორწინება ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი მომენტია რომელიც მათ სახსოვრად რჩებათ, ამიტომ მექორწინე წყვილი ყოველთვის ცდილობს, რომ შთამბეჭდავად აისახოს არამარტო მათზე, არამედ ნათესავთა და მეგობართა მეხსიერებაში. საქართველოში ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში არსებობს ქორწინების საზეიმო ვითარებაში აღმნიშვნელი წეს-ჩვეულებანი.[33]

ქორწინების რეგისტრაციისთვის საჭიროა:

- დასაქორწინებელ პირთა წერილობითი განცხადება
- დასაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- თუ დაქორწინების მსურველი პირი ადრე იმყოფებოდა ქორწინებაში, წინაქორწინების შეწყვეტის დამადასტურებელი საბუთი.

---

[32] შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:103-104.

[33] შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:104.

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში განსაზღვრულია ის გარემოებები, რომელთა არსებობაც ქორწინებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. [34]

1. დაუშვებელია ქორწინება ისეთ პირებს შორის, რომლებიც სხვა პირთან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. (მათ შეუძლიათ განქორწინდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაქორწინდნენ სხვა პირთან)
2. დაუშვებელია ქორწინება პირდაპირ აღმავალ/დაღმავალ ნათესავებს შორის
3. ბიოლოგიურ და-ძმასა და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის
4. მშვილებელსა და ნაშვილებს შორის
5. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ გამოცხადებულ პირთან.

არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში. ქორწინებათა ოდენობა განსაზღვრული არ არის, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მონოგამიის შინაარსს. ერთქორწინების პრინციპის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი და მტკიცე ოჯახის შექმნისთვის. კანონის თანახმად თუ ერთ-ერთი ან თუნდაც ორივე მეუღლე იმყოფებიან სხვა ქორწინებაში და მაინც მოხდა მათ შორის ქორწინების რეგისტრაცია, ეს ქორწინება აუცილებლად უნდა გაბათილდეს.[35]

კანონის მიერ განსაზღვრული სხვა დამაბრკოლებელი გარემოებებიდან რამდენიმე ნათესაობა საერთო შინაარსით შეიძლება გაერთიანდეს. ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საოჯახო სამართალში. არ შეიძლება დაქორწინება პირდაპირ აღმავალ ან დაღმავალ შტოს

---

[34] შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:83.

[35] შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:83.

ნათესავებს შორის, ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმებს შორის, აგრეთვე მშვილებელსა და ნაშვილებს შორის. ნათესაობის არა ყოველი ხაზისა და ხარისხის დროს იკრძალება ქორწინება, არამედ კანონით დადგენილი ნათესაობის შიგნით. ნათესაობა არის სისხლითი კავშირი იმ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან ან ერთი წინაპრისგან არიან წარმოშობილი. ნათესაობა პირდაპირი ხაზისაა, როცა პირები ერთმანეთისგან არიან წარმოშობილი. პირდაპირი ნათესაობა შეიძლება იყოს აღმავალი. მაგალითად: შვილიშვილი, შვილი, მამა, პაპა და ა. შ. დაღმავალი, მაგალითად: პაპა, მამა, შვილი, შვილიშვილი და ა. შ. ნათესაობა გვერდითი შტოსია ანუ ხაზისა, როცა საერთო წინაპრისგან მომდინარეობს - მაგალთად ძმები და დები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილ-ბიძაშვილები და ა. შ. ნათესაობის სიახლოვე იზომება ნათესაობის ხარისხით, რაც, თავის მხრივ, დაბადებათა იმ რაოდენობით განისაზღვრება, რომლებიც ამ პირებს ერთმანეთთან აკავშირებთ. ნათესაობის ხარისხის გამოთვლის ეს რომაული სისტემა თავის დროზე გენიალურ აღმოჩენად იქნა მიჩნეული.[36] რაც შეეხება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინების აკრძალვას, იგი განპირობებულია მათ შორის არა სისხლით კავშირის არსებობით, არამედ ღვიძლ მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივად მათთან გათანაბრების ფაქტით.[37] არ შეიძლება გაშვილებული პირი მომავალში დაქორწინდეს თავისი პირდაპირი ხაზის ნებისმიერი ხარისხის ბიოლოგიურ ნათესავზე ან თუნდაც ნახევარ დაზე (ძმაზე), მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ნათესაობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვეტილია გაშვილების მომენტიდან.[38]

36

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი: გამომცემლობა "სამართალი".

37

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი: გამომცემლობა "სამართალი".

38

სამოქალაქო კოდექსი ქორწინების დამაბრკოლებელ ბოლო გარემოებად სამართლიანად მიიჩნევს საქორწინო პირთაგან თუნდაც ერთ-ერთის ქმედუუნარობას. ასეთ პირს არ შეუძლია რომ გაიაზროს და წარმართოს ოჯახური ურთიერთობის შინაარსი. განახორციელოს მშობლის უფლება-მოვალეობანი და არც სხვა რაიმე პასუხსიმგებლობა შეიძლება მას დაეკისროს. ქმედუუნარო პირს დაქორწინება მხოლოდ იმ შემთვევაში ეკრძალება, თუ იგი ქორწინების რეგისტრაციამდე იქნა აღიარებული ქმედუუნაროდ. თუ იგი ქორწინების რეგისტრაციაში შეცდომით გატარდა ამ შემთხვევაში ეს ქორწინება უნდა გაბათილდეს.[39]

რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.90: გამომცემლობა "მერიდიანი".

[39] რ.შენგელია, ე. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.91: გამომცემლობა "მერიდიანი".

II თავი საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე ღიაა მეცნიერთა შორის. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მისი დადების თარიღად ნავარაუდევია პერიოდი 1905-1915 წლები[40]

თუმცა მეცნიერთა ერთ-ერთი გავრცელლებული მოსაზრების თანახმად საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა უკავშირდება მე-17 საუკუნის ინგლისს, სადაც საქორწინო კონტრაქტი მიზნად ისახავდა გათხოვილ ქალთა უფლებებისა და საგვარეულო ქონების დაცვას.[41]

მეცნიერთა აღნიშული მოსაზრებები საქორწინო კონტრაქტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ. ამ პოზიციის გასამყარებლად კი შეგვიძლია მოვიშველიოთ პროფესორი გ. თუმანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული რამდენიმე არგუმენტი, რაც მიუთითებს საქორწინო ხელშეკრულების ისტორიის წარმოშობის უფრო ადრინდელ პერიოდზე.

1) 1905 წელს ჰააგაში მიიღეს კონვენცია, რომელიც ეხებოდა საოჯახო სამართლებრივ საკითხების ფართო წრეს, კერძოდ კი საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ ნორმებს.

40

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი.

41

ნაჭყებია, ნ. (2008). მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით. *ჟურნალი მართლმსაჯულება,* გვ.76.

2) 1882 წლამდე ინგლისში მეუღლეთა საკუთრება რეგულირდებოდა საერთო სამართლის ნორმების მიხედვით, რის მიხედვითაც მეუღლეთა სრული ქონება ეკუთვნოდა მამაკაცს (ქმარს). ქალს არ ჰქონდა ქონებრივი დამოუკიდებლობა და შესაბამისად ვერ განკარგავდა თავის ქონებას. ცოლის ქონება გადადიოდა ქმრის მფლობელობაში და იგი განკარგავდა დამოუკიდებლად. 1882 წელს ინგლისში მიღებული იქნა კანონი დაქორწინებული ქალების საკუთრების შესახებ. ეს კანონი განამტკიცებდა ქალის უფლებას ქორწინებამდე და ქორწინების შემდგომ შეძენილი ქონება დაექვემებარებინა მეღლეთა წილობრივ საკუთრებას, რომელსაც იგი საქორწინო ხელშეკრულებით გაამყარებდა.

3) 1835 წელს საფრანგეთში გამოქვეყნებულ ონორე დე ბალზაკის თხზულება, დასათაურებული იყო, როგორც „საქორწინო კონტრაქტი". აღნიშნულ თხზულებაში ბალზაკი მოგვითხრობს ისტორიას იმის შესახებ თუ როგორ დაიდო საქორწინო კონტრაქტი მისი თხზულების ორ პერსონაჟს შორის. საფრანგეთის მოსახლეობისთვის ძალიან ნაცნობი იყო საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის მნიშვნელობა, რასაც განამტკიცებდა იმ დროს მოქმედი საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობაც, კერძოდ კი 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში არსებული სამართლებრივი ნორმები.

4) მეცნიერების მიერ შემთხვევით აღმოჩენილ იქნა 1754-1765 წლებში შედგენილი პორტუგალიელი ებრაელების კეთუები ანუ საქორწინო კონტრაქტი რომელთა რაოდენობაც შეადგენდა 10 ტომს და ამ კონტრაქტთა რეესტრი სულ მოიცავდა 223 საქორწინო კონტრაქტს. აღნიშნული კონტრაქტები შედგენილი იყვნენ ტუნისის პორტუგალური თემის რავინთა სასამართლოს მოსამართლეების მიერ რომელიც 11 წლის განმავლობაში არსებობდა.

5) 1538 წელს ლანდერლოკის ერთ-ერთ დასახლებაში გაფორმდა საქორწინო კონტრაქტი, ვინმე მარტენ გერსა და ბერნარდა დე როლს შორის, მეუღლე - ქმარი იყო 14 წლის, ხოლო - ცოლი 12 წლის.

6) ეს არგუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რადგან იგი ეყრდნობა უძველეს დოკუმენტურ მასალას, კერძოდ კი 1893 წელს კუნძულ ელეფანტაინის ერთ-ერთ დასახლებაში პაპირუსის რამოდენიმე ასეული შეკვრის აღმოჩენას. ამ შეკვრებიდან 8 საჩუქრად გადაეცა ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმს რომელიც 1947 წლით თარიღდება. პაპირუსზე შესრულებული ნაწერები მოგვითხრობენ ვინმე ანანისა და მისი მეუღლის ტამუტის ცხოვრებაზე. მეცნიერთა მტკიცებით ანანის შესახებ ინფორმაციას მოიცავდა ძველი წელთაღრიცხვის 449 წლის 9 აგვისტოს დათარიღებული ქორწინების აქტი. ეს კონტრაქტი შინაარსობრივად მოიცავს დღევანდელი საქორწინო კონტრაქტის მრავალ ელემენტს, იგი არეგულირებდა მხოლოდ იმ მდგომარეობას, რაც წარმოშობდა მათ ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით განქორწინებას. ყველა საქორწინო კონტრაქტი შესრულებული არამუელ ენაზე გამოკვეთილი და დახვეწილი იურიდიული ტერმინოლოგიით, არამეული ენის სწავლული პირების მიერ. აგრეთვე ყურადსაღებია ის გარემოება რომ ყველა კონტრაქტი ხელმოწერილია როგორც უშუალოდ მხარეების, ასევე მოწმეების მიერ. მაშასადამე, როგორც ჩანს, საქორწინო კონტრაქტი არამც თუ ამერიკის შეერთებული შტატების ან ზოგადად ,,ძველი ევროპის“ მონაპოვარია არამედ მის წარმოშობას ბევრად უფრო შორს მივყავართ შორეული ,,ძველი აღმოსავლეთისაკენ“, კერძოდ კი ეგვიპტისაკენ.[42]

42

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.44-47.

§2.1. საქორწინო ხელშეკრულების ცნება, მიზანი ფორმა და შინაარსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი, საერთო წესის თანახმად, უნდა განმარტავდეს საქორწინო ხელშეკრულების ცნებას, თუმცა ის საუბრობს მხოლოდ მეუღლეთა უფლებაზე დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას. სამართლის დოქტორი გ. თუმანიშვილი საქორწინო კონტრაქტის ცნების განსაზღვრისათვის გვთავაზობს მისი შემადგენელი ნაწილის გამოყოფას:

- საქორწინო კონტრაქტი წარმოადგეს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს
- საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები- დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები
- საქორწინო კონტრაქტის ობიექტი - ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები
- საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში - ანუ კონტრაქტი შეიძლება იყოს ვადით ან უვადოთ დადებული
- საქორწინო კონტრაქტის დადება - შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების სახელმწიფო რეგიტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ
- საქორწინო კონტრაქტის ფორმა - იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით[43]

ამ ელემენტების შეჯერებით შეიძლება მივიღოთ საქორწინო ხელშეკრულების ერთიანი ცნება. საქორწინო ხელშეკრულება არის დასაქორწინებელ პირთა

43

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.23

შორის გარკვეული ვადით ან უვადოთ დადებული შეთანხმება, რომელიც იდება წერილობით და სანოტარო წესით მოწმდება. საქორწინო ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს ქორწინების რეგისტრაციამდეც და ამ დროს დადებული ხელშეკრულება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან.[44]

საქორწინო ხელშეკრულების მიზანი

საქორწინო კონტრაქტი არის ჩვეულებრივი გარიგება, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს - მომავალ მეუღლეებს აწონ-დაწონონ ყველა თავისი მოთხოვნა და სურვილი. ლოგიკური სისტემის სახით ჩამოაყალიბონ მათი მატერიალური და მორალური ვალდებულებები. სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ურთიერთობების გარდა დამატებით ან სხვაგვარად განსაზღვრონ მათთვის ხელსაყრელი პირობები, რომელიც შეიძლება ასახავდეს ქორწინების განმავლობაში არსებულ ურთიერთობებსაც და განქორწინების შემთხვევაში დავებისა სხვა ცალკეული საკითხების მოგვარების წესს. გერმანიაში ყოველი წყვილი ქორწინების რეგისტრაციამდე დებს საქორწინო ხელშეკრულებას, ეს გამოწვეულია მათი ცხოვრების დონით და სოციალური მდგომარეობით, ყოველი მოქალაქის უკან დგას საკმაოდ ღირებული უძრავი და მოძრავი ქონება რომლის საერთო წესით გაზიარება არ სურთ.[45]

44

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.24.

45

კუსიანი, ე. (2012). საქორწინო კონტრაქტი-მოქმედი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? გვ.5-6

პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ თუ როდის გვინდა რომ საქორწინო კონტრაქტის საჭიროება წარმოვშოთ და რა შედეგები მოყვება მის წარმოშობას, ამიტომ საზოგადოების ნაწილი კონტრაქტის გაფორმებისგან თავს იკავებს. ქორწინება წარმოშობს მხარეთა შორის უფლება-მოვალეობებს რომელიც კარგად უნდა იყოს გააზრებული დასაქორწინებელ პირთა მიერ. თუ წყვილი გადაწყვეტს, რომ სჭირდებათ გააფორმონ საქორწინო კონტრაქტი ისინი უნდა დაფიქრდნენ და უნდა გაითვალისწინონ იმ პირობების შეთანხმებაში აღნიშვნა რაც მათთვის მისაღებია, პირობები უნდა წარმოადგენდეს სამართლიანობის გარანტს ორივე მხარისთვის. კონტრაქტი შესაძლოა არ გამოიყურებოდეს რომანტიკულად, მაგრამ მომავალ მეუღლესთან ერთად მუშაობა და პირობების ერთად განხილვა განამტკიცებს მათ ურთიერთობას. ამიტომ აუცილებელია იცოდეს მექორწინე წყვილმა თუ რა მიზანს ემსახურება საქორწინო ხელშეკრულება.

საქორწინო ხელშეკრულების ფორმა

სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით მოხდეს: ზეპირად ან წერილობით, მოქმედებით ან უმოქმედობით, და სხვა. გარიგების ფორმა არის ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატვა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ არ არსებობს ასეთი ფორმა დაწესებული, მაშ მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან მიმართებით სსკ 1174-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ საქორწინო კონტრაქტი იდება წერილობითი ფორმით და იგი მოწმდება სანოტარო წესით. გარიგების მარტივი

წერილობითი ფორმის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა, რაც გულისხმოს გარიგებისათის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერას.[46] საქორწინო ხელშეკრულება როგორც ქონერივი კონტრაქტის ნაირსახეობა, იდება მხოლოდ კანონთ განსაზღვრული ფორმით და წესით, არ შეიძლება რომ საქორწინო კონტრაქტი დაიდოს ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით, სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. საქორწინო კონტრაქტს სამართლებრივი ძალა აქვს მაშინ როცა გამოყენებულია რთული წერილობითი ფორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამართლებრივი ხასიათის ვერ იქნება და ვერც მხარეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს.

გ. თუმანიშვილს ჩამოყალიბებული აქვს ის ვალდებულებები რაც ნოტარიუსს გააჩნია როცა სანოტარო აქტს ადგენს ხელშეკრულების რეგისტრაციის დასამოწმებლად:

- დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობა;
- დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება;
- დაადგინოს ყველა ის ფაქტი და გარემოება, რაც აუცილებელია სამართლებრივად გამართული გარიგების დასადასტურებლად და ასევე გამოითხოვოს ყველა ის დოკუმენტი რაც აუცილებელია;
- დაადგინოს მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მხარეებს ;
- განუმარტოს სანოტარო მოქმედების მონაწილეს სანოტარო აქტის სამართლებრივი შედეგები;
- დარწმუნდეს მხარეთა განზრახვის სერიოზულობასა და სანოტარო აქტის შინაარსის მხარის ნებასთან შესაბამისობაში;

46

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.84.

სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსი არ ამოწმებს დოკუმენტში ჩამოყალიბებული ფაქტების ნამდვილობას, არამედ მხოლოდ ამოწმებს, რომ ხელმოწერა დოკუმენტზე ეკუთვნის თუ არა კონკრეტულ პირს. ასევე ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის დედანთან სისწორეს, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს. დამოწმება სრულდება დოკუმენტზე ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერის შესრულების გზით.[47]

თანამედროვე სამართალში ენას, როგორც ნების გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გარიგება რომელიც ნოტარიუსის მიერ მოწმდება საქართველოში, იგი შედგენილიც უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე. თუ ერთ-ერთმა მხარემ არ იცის სახელმწიფო ენა, თარჯიმანი უნდა იქნეს მოწვეული, გარიგების თარგმნის სისწორე დამოწმდება და მხარეს დოკუმენტი მისთვის გასაგებ ენაზე გადაეცემა, რათქმაუნდა ეს საქორწინო კონტრაქტის ენასაც ეხება.

ნოტარიულად დამოწმებულ გარიგებას მხარეები ხელს აწერენ ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ გარიგების ხელმოწერას ნოტარიუსი არ დასწრებია, ხელმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთნის.[48] ხოლო თუ საქორწინო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყრუ-მუნჯია, ნოტარიუსი ვალდებულია ჩაატაროს სანოტარო წესით გათვალისწინებული პროცედურა რაც ითვალისწინებს სპეციალისტის მოწვევას, რათა ხელშეკრულების მხარისათვის გასაგები იყოს მისი ნების გამოხატვა, მოწვეული სპეციალისტი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ მან სწორად გადასცა ნოტარიუსს ამ პირის ნება. იმ პირის ნაცვლად რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო

47

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.85.

48

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.85-86.

შესაძლებლობა არ აქვს ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას მისი დავალების თანახმად შესაძლებელია ხელს აწერდეს სხვა პირი. ამ დროს ხელმოწერა უნდა განხორციელდეს ნოტარიუსის ზედამხედველობის ქვეშ და მისი თანდასწრებით. იგივე პროცედურა ტარდება როცა მხარე (მხარეები) არიან წერა-კითხვის უცოდინარები.

საქორწინო ხელშეკრულების დადებისას მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა ის წესი და პირობა, რომელიც წაეყენება ზოგადად ხელშეკრულებას და საოჯახო ურთიერთობებში წარმოშობილ მოთხოვნებს.[49]

საქორწინო ხელშეკრულებისთვის საჭირო შემდეგი რეკვიზიტები:

- ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი
- იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც ხდება ხელშეკრულების დადება
- ხელშეკრულების შინაარსი და მხარეთა ხელმოწერა.

საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი

საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი მისი შინაარსია, რომელიც განსაზღვრავს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა დეტალს, იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1176- ე მუხლის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე, საქორწინო კონტრაქტით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილ წესები, ასევე მათ შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. თუ

49

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.105.

მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობას საქორწინო ხელშეკრულება კანონისგან განსხვავებულად არეგულირებს, ამ დროს უპირატესობა ხელშეკრულებას ენიჭება.

საქორწინო ხელშეკრულება მეუღლეთა შორის არსებული საკუთრების სამ სახეს იცნობს, ესენია: თანაზიარი, ინდივიდუალური და წილობრივი. კონტრაქტის დადებით მეუღლეებს უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისთვის დადგენილი რეჟიმი და აღნიშული საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ. ასევე შესაძლებელია რომ ხელშეკრულებით შეიცვალოს როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო ქონება. მეუღლეთა შორის წარმოშობილ ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესში მათი ნების თავისუფლად გამოვლენის ერთ -ერთი კარგ მაგალითს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა ხელშეკრულების საფუძველზე გააერთიანონ მთელი თავისი საკუთრება. ასეთი ქონება ჩაითლება როგორც ინდივიდუალურ ქონებად ასევე თანაზიარ ქონებად.

მეუღლეები უფლებამოსილნი არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაადგინონ ისეთი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მოიცავს ქონების განცალკევებისა და მათი ერთიანობის ნიშნებს.[50] შესაძლებელია თანაზიარი და ინდივიდუალური ქონების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება, დარჩენილი ნაწილი კვლავ კანონით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს შეინარჩუნებს. გაერთიანებული ქონება კი მეუღლეთა მიერ შეთანხმებული საფუძვლის თანახმად საერთო საკუთრებად იქცეს, როგორც თანაზიარი ისე წილობრივი ფორმით. თუ მეუღლეები წილობრივად გააერთიანებენ თავიანთ ქონებას, მაშინ ასეთი ქონების მიმართ თანაზიარი საკუთრებისგან განსხვავბეული წესი გამოიყენება რაც მოცემულია საქართველოს სამოქალქო კოდექსის 173-ე მუხლში.

50

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.89

ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნას მხარეთა უფლება-მოვალეობები ურთიერთრჩენის შესახებ, ასევე მათი მონაწილეობის მიღება შემოსავლებში. შემოსავლებში მონაწილეობა უნდა იყოს თანაზიარი მაგრამ არა აუცილებელი ეკვივალენტური.[51] მეუღლეებს ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ საოჯახო ხარჯების გაწევის წესიც.

საქორწინო კონტრაქტის შინაარსის მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს შეადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის, ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მეუღლეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ, ქონების ესა თუ ის ცალკეული ნაწილი რომელ მეუღლეს დარჩება განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტას, რადგანაც ქონება ან ქონების ცალკეული ნაწილები, რომელზედაც მათ პოტენციურად შეიძლება ჰქონდეთ დავა, განსაზღვრულია და მას შესაძლებელია საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით უკვე ჰქონდეს დაწესებული საკუთრების გარკვეული სახე.[52]

§2.2 საქორწინო კონტრაქტი როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი

საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელმაც ნორმატიული აქტების სისტემაში 1997 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ საოჯახო სამართალში.

51

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.192

52

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.91

ქართველი ცივილისეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოხსენებული ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის კოდექსში განთავსების შესახებ საკმაოდ გაბედულ ნაბიჯად არის მიჩნეული. პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე აღიარა და განამტკიცა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.[53]

ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსები ერთანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა და სამოქალაქო სამართლის კოდექსი არეგულირებდა ქონებრივ და არაქონებრივ ურთიერთობებს, ხოლო საოჯახო სამართალი არეგულირებდა საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებს. კანონმდებლობაში განმტკიცებულ მეუღლეთა კანონისმიერ ქონებრივ და სახელშეკრულებო ქონებრივ ურთიერთობაგან, საქორწინო კონტრაქტის დადებით მეუღლეების ქონების კანონისმიერი რეჟიმი იცვლება მათივე შეთანხმების საფუძველზე.

დასავლეთის თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში საქორწინო ხელშეკრულების გამოყენების გზით ქონებრივი უფლებების რეგულირება ხორციელდება. ამის მეშვეობით მეუღლეებს აქვთ იმის შესაძლებლობა რომ თავიანთი უფლება-მოვალეობები საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ და თავი აარიდონ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების კანონით დადგენილ წესებს. თუ მხარეები გადაწყვეტენ ქორწინების ხელშეკრულების გაფორმებას, ისინი აუცილებლად უნდა დაექვემდებარონ სახელმწიფოში მოქმედ საქორწინო ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებს, მიუხედავათ მხარეთა არჩევანისა. ამიტომ არის ალტერნატიული გამოსავალი როცა მხარეები ხელშეკრულებით თანხმდებიან მათთვის ხელსაყრელ პირობებზე რაც რასაკვირველია უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

53

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.12

საქართველოში ქორწინების დარეგისტრირების პრაქტიკას რომ გადავხედოთ არც ისე მაღალი შედეგი დგას, რადგან იშვიათად დებენ ამ ხელშეკრულებას წყვილები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საქორწინო ხელშეკრულების დამკვიდრების რამდენიმე მიზეზი არსებობს, ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელდა ეკონომიკური ურთიერთობები და მათი დაცვა, სწორედ ეს შეიძლება გახდეს მიზეზი, რომ წყვილმა ქორწინება არ გააფორმოს და ამით საკუთარი ქონება დაიცვას.

შეხედულებები საქორწინო კონტრაქტის თაობაზე მკვეთრად განსხვადება. საზღვარგარეთის პრაქტიკის მაგალითებიდან ირკვევა, რომ საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, ობიექტური მიზეზების გამო არ არის გათვლილი მოქალაქეთა ფართო წრისთვის. ამ გარიგებას ძირითადად მიმართავენ შეძლებული მოქალაქეები, რომლებიც მემკვიდრეობით ან სხვა გზით შეძენილი საოჯახო ქონების შენარჩუნებას ცდილობენ. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსგავსი ხელშეკრულება ახალდაქორწინებულთა 3-5 პროცენტის მიერ იდება. აქედან გამომდინარეობს პასიური მიდგომა, რომელსაც მოქალაქეები საქორწინო ხელშეკრულების მიმართ დღესდღეობით იჩენენ. მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ წყვილები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები საქორწინო ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების თაობაზე.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა იცნობს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტს, ზოგან იგი უშუალოდ არ არის სამართლებრივი ინსტიტუტის სახით ჩამოყალიბებული, მაგრამ როგორც გარიგების სახე მაინც არსებობს, რომელზედაც ვრცელდება ,,contract law" და ,,family law" საკონტრაქტო და საოჯახო სამართლის დებულებები, მიუხედავად სხვაობისა, სამართლებრივი რეგულირების ჭრილში, კონტინენტური სამართლის და საერთო სამართლის ქვეყნებისთვის მაინც საერთოა საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტთა წრე.[54]

54

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.21

მაშასადამე განსახილველ საკითხთან მიმართებაში გარიგების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრის მიმართ, უშუალო კავშირშია მეუღლის სტატუსთან, ხოლო ამ უკანასკნელის მქონე პირთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი წესრიგდება საოჯახო სამართლის ნორმების საფუძველზე. თვით საქორწინო კონტრაქტი კი თავისი ბუნებით, საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტების განსაზღვრის პრინციპზე დაყრდნობით წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივ ხელშეკრულების სახეს.[55]

§2.3. პირადი არაქონებრივი უფლებები, საქორწინო ხელშეკრულების პირობებში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში ისე განქორწინებისას. საქართველოში ბევრი პრაქტიკოსი იურისტი განმარტავს, რომ დასაქორწინებელ პირებს ან მეღლეებს ამ ნორმის საფუძველზე ერთმევათ უფლება კონტრაქტში განსაზღვრონ არაქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები. საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საქართველოს კერძო სამართალი იყენებს და ეყრდნობა პრინციპს, ,,რაც კანონით აკრძალული არ არის-ნებადართულია“. ამასთან 1172-ე მუხლის მოთხოვნის სავალდებულო სავალდებულო ძალის მიხედვით არის დისპოზიციური, ხოლო მისი დისპოზიცია - აღმჭურველი, როგორც პირის უფლებამოსილება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა, ანუ აღნიშნული მუხლით არაფერი არ არის აკრძალული,

---

55 თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.21-22.

კონტრაქტის მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა შეთანხმდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე და მოვალეობებზე, არამედ არაქონებრივზეც.[56]

[56] თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ:14

III თავი: საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა. მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით შეუძლიათ შეზღუდონ ისინი, თუმცა ამ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას აწესრიგებს კანონი. კანონი ადგენს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა განსაზღვრული დროით, ან თუნდაც სხვა რაიმე პირობის დადგომით. სხვა საფუძველი არ არსებობს რომ ეს შეიზღუდოს. მეუღლეთა ამგვარი უფლება არის იმის დასტური, თუ როგორ იძლევა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი მათი ნება-სურვილის გათვალისიწინების შესაძლებლობას.[57]

განსაზღვრული დროით უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა სახეზეა მაშინ, როცა საქორწინო კონტრაქტი იდება განსაზღვრული დროით. ამ შემთხევვაში მათ მიერ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი მოქმედებს შესაბამისი ვადით. შესაძლოა მეუღლეებმა ვადიან საქორწინო ხელშეკრულებაში ვადასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი შეზღუდვაც გაითვალისწინონ. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, მეუღლეები შეიძლება შეთანხმდენენ იმაზე, რომ მათ შორის დადებული 10 წლიანი ხელშეკრულების პირველი ხუთი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ინდივიდუალური საკუთრება იყოს, ხოლო შემდეგი 5 წლის განმავლობაში შეძენილი ქონება - თანაზიარი. ძირითადად ასეთი ხელშეკრულება იდება, როცა წყვილი არ არის დარწმუნებული მათ მიერ გაფორმებული ქორწინების სტაბილურობაში, ამიტომ კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელიც შეიძლება დაედოს საფუძვლად მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვას. როგორც

---

57 რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი".

წესი ეს მეუღლეთა შორის შეთანხმებაზეა დამოკიდებული და ამას კანონი ვერ კრძალავს.

§3.1. დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი.

საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული ვადით ან/და ამა თუ იმ პირობის დადგომით. ხშირია როცა განქორწინების მიზეზი ხდება ერთ-ერთი მეუღლის უღირსი საქციელი, ცოლ-ქმრული ღალატი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ხულიგნური ქმედებები. ამ საფუძვლით ხშირია განქორწინება როგორც ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში, ისე საქართველოშიც. ამ დათქმის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები თანხმდებიან, თუ განქორწინების მიზეზი ერთ-ერთი მხარის უღირსი საქციელია თუნდაც ეს იყოს ცოლქმრული ღალატი, მაშინ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება განქორწინების მომენტიდან მოექცევა საკუთრების წილობრივ რეჟიმში, ამასთან, მხარე, რომელმაც ჩაიდიანა უღირსი საქციელი, ღებულობს საერთო თანაზიარი ქონების ¼-ს, ხოლო მეორე მხარე, შესაბამისად დარჩენილ ¾-ს. განქორწინებისას საქორწინო ხელშეკრულების არსებობისას განქორწინება სასამართლო წესით ხდება. თუ განქორწინების საფუძველი ეს დათქმაა, მაშინ სასამართლომ უნდა შეაფასოს მომხდარი და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება.[58]

შედარებით მარტივია ერთ-ერთი მხარის მიერ ჩადენილი ხულიგნური ქმედებები, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლთან, ვინაიდან

---

58 თუმანიშვილი, გ. (2003). დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ,როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. *ჟურნალი სამართალი,* გვ 36-37.

ხულიგნობა სისხლისამართლებრივი დანაშაულია და დასჯადია კანონით დადგენილი წესით, შესაბამისად ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე. თუ განქორწინების მიზეზია ერთ-ერთი მხარის ქრონიკული ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ ორივე მათგანი სამედიცინო ხასიათის დიაგნოზია და შესაბამისად, სასამართლომ მტკიცებულებად უნდა მიიღოს ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან ან სხვა დოკუმენტაცია გაცემული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებიდან.

ზემოხსენებულ შემთხვევებში სასამართლოს აქვს საშუალება შეკრიბოს მტკიცებულებები და მათზე დაყრდნობით გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება. სხვაგვარადაა საქმე ცოლ-ქმრული ღალატის ფაქტის დადგომის საკითხთან მიმართებით, ვინაიდან არ არსებობს თვით ცნების - ცოლ-ქმრული ღალატის განმარტება იურიდიულ სივრცეში. შესაძლებელია ითქვას, რომ ცოლ-ქმრული ღალატისადმი დამოკიდებულება ინდივიდუალური ხასიათისაა, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის პიროვნებაზე, მის აღზრდასა და გარე სამყაროზე, რომელშიც იგი ცხოვრობს, ასევე მენტალურ ღირებულებებზე, რომლებითაც ოპერირებს ეს ადამიანი. თუ ხელშეკრულებაში არის პირობა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ცოლ-ქმრული ღალატის ფაქტის დადგომა, მაშინ იქვე უნდა იყოს განმარტება, თუ რას მიიჩნევენ მხარეები ცოლ-ქმრულ ღალატად, ამით შესაძლოა ავიცილოთ ინდივიდუალური მიდგომის მეორე მხარის მიერ არაადეკვატურად აღქმის შესაძლებლობა, რაც თავიდან აგვაცილებს ბევრ გაუგებრობას. ხოლო თუ საქორწინო ხელშეკრულებაში არ არსებობს ამგვარი განმარტება, მაშინ ცოლ-ქმრულ ღალატად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სქესობრივი კავშირის დამყარება სხვა ადამიანთან. ამიტომ საქორწინო ხელშეკრულებაში მსგავსი დათქმის გათვალისწინება აუცილებლად საჭიროებს შინაარსობრივ შევსებასა და განმარტებას,

ანუ საქორწინო კონტრაქტში ნათლად უნდა იქნას გათვალისწინებული ამომწურავი ახსნა-განმარტება, თუ რას მიიჩნევენ მხარეები ცოლ-ქმრულ ღალატად.[59]

§3.2 მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია

საქორწინო ხელშეკრულება იძლევა მეუღლეთა მიერ ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების შესაძლებლობას თითქმის ყველა სფეროში. მეუღლეთა ქონებრივი სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა ნება-სურვილზე, რომელსაც კანონი არავითარ შეზღუდვას არ უწესებს. საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, რადგან მის შეცვლას შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან თუნდაც ორივე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. ასევე მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ შვილები მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ არჩინოს და აღზარდოს, ხოლო მეორე საერთოდ გათავისუფლდეს მშობლიური უფლება-მოვალეობისგან. ასევე არ შეიძლება შეიცვალოს საალიმენტო მოვალეობანი არამარტო ერთმანეთის ან შვილების მიმართ, არამედ სხვა პირთა მიმართაც. საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინეულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით განსაზღვრული უფლების შეცვლა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს. ასევე ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნას ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში

---

59 თუმანიშვილი, გ. (2003). დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ,როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. *ჯურნალი სამართალი,* გვ 36-37.

აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული. ეს სფერო ძირითადად მოიცავს მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებას.[60]

§3.3 საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არა მხოლოდ საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლას, არამედ მასზე ავრცელებს გარიგებასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებთან დაკავშირებით.[61] მეუღლეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ თავის კრედიტორებს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლისა და შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალე მეუღლე შემდგომში ვეღარ დაეყრდნობა საქორწინო კონტრაქტის არსებობას, რომლის პირობებიც ხელს უშლის მას ნაკისრი მოვალეობის შესრულებაში. მეუღლის ვალდებულება, შეატყობინოს თავის კრედიტორს საქორწინო ხელშეკრულების დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს დროულად მიიღოს ინფორმაცია მოვალის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და, შესაბამისად თუ იგი გაუარესდა, მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი ინტერესების

60

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი: გამომცემლობა "სამართალი". გვ;139-140

61

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.202.

დასაცავად.[62] ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ კრედიტორი ვალდებულია მოსთხოვოს მეუღლეებს არ მოახდინონ ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობების შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მოითხოვს ვალდებულ მეუღლესა და მის შორის არსებული ხელშეკრულების მოშლას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კანონით დადგენილი წესების თანახმად.[63]

საქორწინო ხელშეკრულება, ისე როგორც სხვა ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია, ამიტომ მისი დადებაც და შეწყვეტაც მეულეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ არის მითითებული კანონში იმის შესახებ, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ფიზიკური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა.

შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ თითქოს შესაძლებელი იყოს ცალმხრივი უარის საფუძველზე საქორწინო კონრაქტის შეწყვეტა. ცალმხრივი უარი ასეთ შემთხვევაში შეიცავს მეორე მეუღლის მძიმე მდგომარეობის უარყოფითი გავლენისაგან საკუთარი ქონებრივი ინტერესების დაცვის ცდას. ასეთ დროს მეუღლეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო გახდება არახელსაყრელ პირობებში მყოფი მეუღლის ინტერესების დაცვა.[64] ამასთან, საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად

62

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.200

63

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.200-201.

64

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი: გამომცემლობა "სამართალი".

შეწყვეტილად შეგვიძლია ჩავთვალოთ მაშინ, როდესაც საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობები, ვალდებულებები შესრულდება სრულად.[65]

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს განქორწინება. შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოფილიყო თანაზიარი საკუთრების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისთვის. ხელშეკრულება შეწყდება აღნიშული წესის შესრულების შემდეგ. თუ ხელშეკრულებით მეუღლეთა შორის ქორწინების შემდგომი პერიოდის რაიმე ვალდებულების შესრულება იყო გათვალისიწებული.

საოჯახო კანონმდებლობა არ ავალდებულებს მოვალემეუღლეს გააცნოს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი თავის კრედიტორს, მაგრამ აღნიშული ნორმის მიხედვით, მოვალე-მეუღლემ უნდა გააცნოს კრედიტორს კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლას.[66]

თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან გარიგების პირობების შეცვლაზე ან მის შეწყვეტაზე, შესაძლოა ეს გარიგება მოიშალოს ან თუნდაც შეიცვალოს სასამართლოს მიერ კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე. გარიგების მოშლისას მხარეთა ვალდებულებები წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. თუ გარიგების შეცვლა ან შეწყვეტა განხორციელდა კრედიტორსა და მოვალე-მეუღლეს შორის შეთანხმებით, მაშინ მხარეთა მოვალეობები ითვლება შეცვლილად ან შეწყვეტილად მხარეთა შორის შეთანხმების

65

თუმანიშვილი, გ. (2010). *საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია.* თბილისი, გვ.102.

66

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.201.

მომენტიდან, თუ შეცვლილი გარიგების შინაარსიდან ან შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[67]

ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ ნორმალური იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომლებსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს, ეს შედეგი დგება მაშინ, როდესაც დარღვეულია დაქორწინების აუცილებელი პირობები ან იგი მომხდარია იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან კიდევ ყველა ფორმალური ნიშნის დაცვით, მაგრამ იმ განზრახვის გარეშე რომ ნამდვილად შექმნას ოჯახი.[68]

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება ცნობილ იქნეს არარა გარიგებად, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება კანონს, საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობისა და მართლწესიგის ნორმებს.[69] ქორწინების ბათილად ცნობა ნიშნავს იმას, რომ მას თავიდანვე არ წარმოუშვია ის იურიდიული შედეგები, რაც ნამდვილ ქორწინებას მოსდევს. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს გზით არის შესაძლებელი. საქორწინო კონტრაქტი შესაძლებელია, რომ სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნეს ბათილად მთლიანად ან თუნდაც ნაწილობრივ, ბათილი გარიგებისათვის დადგენილი წესების საფუძველზე.

67

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.201-202.

68

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი: გამომცემლობა "სამართალი".

69

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.202.

საქორწინო კონტრაქტი ორმხრივი გარიგების სახესხვაობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეუღლეთა ქონებრივი უფლებამოვალეობანი, რომელიც გათვალისწინებულია საქორწინო კონტრაქტით, წარმოიშობა გარიგების ნამდვილობისთვის დადგენილი წესების დაცვის საფუძველზე. სამოქალაქო კანონმდებლობით, გარიგება ნამდვილად ითვლება შემდეგი წესების დაცვის შემთხვევაში:

- გარიგების პირობების კანონთან შესაბამისობა
- გარიგების მხარეთა ქმედუნარიანობა
- გარიგების მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენა
- კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

აღნიშნული წესები გამოიყენება საქორწინო კონტრაქტის დადების დროს. რომელიმე წესის დაუცველობა იწვევს კონტრაქტის ბათილობას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქორწინო კონტრაქტით გათვალისწინებული მეუღლეთა უფლებები და ვალდებულებები საერთოდ არ წარმოიშობა.[70]

განქორწინების პროცედურის შინაარსი იმით არის განპირობებული, რომ მომავალი პერიოდისათვის წყვეტს მოქმედებას მეუღლეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობანი. ბათილობის დროს კი იგულისხმება, რომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობა თავიდანვე არ ყოფილა წარმოშობილი. ქორწინების გაბათილება შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ პირთა მიმართ გამოყენებულ სანქციად, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში. ქორწინების გაბათილება, როგორც სანქციის განსაკუთრებული სახე, მეუღლეთა მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს მექორწინეთა განზრახვა კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით გატარებულიყვნენ ქორწინების

70

ჩიკვაშვილი, შ. (2004). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.202.

რეგისტრაციაში. თუმცა პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები როცა მეუღლეებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ თუ ეს გარემოება კრძლავადა ქორწინებას.

ქორწინების გაბათილება შესაძლებელია მაშინ, თუ ქორწინება მოხდა პირთან, რომელსაც საქორწინო ასაკისთვის არ მიუღწევია და არც კანონით გათვალისწინებული ნებართვა ყოფილა სახეზე 16 დან 18 წლამდე პირის დაქორწინებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ქორწინების გაბათილება განპირობებულია იმ პირის ინტერესებით, რომელიც საქორწინო ასაკის მიღწევამდე დაქორწინდა. თუმცა შესაძლებელია მოიხსნას გაბათილების აუცილებლობა იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია ან იგი ორსულადაა. თუმცა შესაძლებელია მაინც რომ მისი მოთხოვნით ეს ქორწინება გაბათილდეს. იგულისხმება რომ არასრულწლოვანი მეუღლე თვითო გამოხატავს თავის ინტერესებს, სხვა შემთხვევაში არასრულწლოვანი მეუღლის ინტერესების განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციაში შედის.[71] ქორწინების გაბათილების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს მექორწინეთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ნამდვილ ქორწინებას საფუძვლად უდევს მექორწინეთა მიერ ურთიერთთანხმობისა და ნება-სურვილის თავისუფალი გამოვლენა. მექორწინეთა ნება შეიძლება დეფექტური ხასიათისა იყოს. ეს ხდება მაშინ თუ ეს ქორწინება ძალადობის შედეგია. ეს იძულება კიდევ შესაძლებელია რომ გამოიხატოს ფსიქიკაზე ზემოქმედებაშიც. ფსიქიკაზე ზემოქმედება მუქარის გზით უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო ხასიათისა და მიმართული დასაქორწინებელი პირის ანდა მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთლობის ან პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. იძლებითი დაქორწინების გავრცელებული ფორმაა ქალის მოტაცება, რაც სისხლისსამართლებრივ დარღვევად არის მიჩნეული. თუმცა ეს საკითხი შეიძლება სადაოდ მივიჩნიოთ, რადგან ხშირად

71

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.133: გამომცემლობა "მერიდიანი".

ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით ხდება მისივე თანხმობით, ეს ქალის მოტაცების სიმულაციაა და სამართალდარღვევად არ უნდა მივიჩნიოთ, ამას ადასტუებს ის, რომ, თუ სახეზე გვაქვს გვაქვს მართლაც ქალის მოტაცება ქორწინების მიზნით, არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მოტაცებული ქალის უკან დაბრუნება, თუ იგი თვითონ არ გამოთქვამს სურვილს დაბრუნებისა. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს კანონი იმ მეუღლის ინიციატივით დაქორწინების გაბათილების საკითხის სასამართლოში დაყენებას, რომლის მიმართაც ქორწინების დროს გამოყენებული იყო ძალადობა. იგივე შესაძლებელია მოხდეს მამაკაცის ნებაზეც, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს. ყველა შემთვევაში იძულებითი ქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ.[72]

სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს ისეთი ქორწინება, რომელიც გაფორმდა:

ა) იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი სხვა ქორწინებაში იმყოფებოდა ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ამის შესახებ მეორემ იცოდა თუ არა. ასეთ შემთვევაში ყოველთვის მეორე ქორწინება უნდა გაბათილდეს და არა პირველი;

ბ) პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, თუნდაც დაქორწინების დროს მათ ამის შესახებ არ სცოდნოდათ

გ) ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის. არ აქვს მნიშვნელობა იმას, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ

დ) მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ქორწინებისას გამორიცხულია სისხლის აღრევასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები;

72

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.134: გამომცემლობა "მერიდიანი".

ე) იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთ-ერთი სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. პირის ქმედუუნაროდ აღიარება წინ უნდა უსწრებდეს დაქორწინებას.[73]

სამოქალაქო კოდექსისი 1120-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, არ წარმოადგენს მისი გაბათილების უდავო საფუძველს. სასამართლო დამოუკიდებელია და არ არის იგი ვალდებული რომ ყველა შემთხვევაში გააბათილოს ეს ქორწინება, სასამართლოს უფლებაა ეს და მან უნდა გააბათილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი დარწმუნდება მის აუცილებლობაში. საქორწინო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი შეიძლება წარმოიშვას თავად ხელშეკრულების შინაარსის განმარტებითა და ნების გამოვლენის ნამდვილობის დადგენით.[74]

73

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.135: გამომცემლობა "მერიდიანი".

74

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:135-136.

IV თავი: მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი უფლება-მოვალეობები საქორწინო კონტრაქტის პირობებში

საოჯახო ურთიერთობათა განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც საფუძვლად ედება ოჯახის შექმნას, მეუღლეებს თავიანთი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული ქონება. მეუღლეთა საკუთრების რეჟიმის გარკვევისას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმისა იყოს, მათი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად, - ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად. მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეუღლეთა უფლებების თანაბრობის შესახებ. ერთ ერთ მეუღლის მოქმედება მიმართული თანაზიარი საკუთრების მართვის ან განკარგვის მიზნით, იმავდროულად ითვლება მეორე მეუღლის ნების გამოვლენადაც.[75]

კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევევაში საჭიროა მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობა. მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება წარმოადგენს. ქონების განკარგვა შეუძლია ერთ-ერთ მათგანს ან ორივე მეუღლეს ერთად. ორივე შემთხვევაში გარიგების დადებისას მეუღლეთა ნება

75

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:153-155.

თავისუფალად უნდა იყოს გამოვლენილი. როცა ერთი მეუღლე განკარგავს თანაზიარ საკუთრებას, იგულისხმება რომ მეორე მეუღლეც თანახმაა ამაზე და არაა საჭირო ამ უკანასკნელის მინდობილობა-გარიგების დასადებად. [76] ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება რომ გარკვეული გაუგებრობა წარმოიშვას თანაზიარი საკუთრების უძრავი ქონების ერთ-ერთი მეუღლის მიერ განკარგვასთან დაკავშირებით, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მოძრავი და უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა ერთმანეთისგან განსხვავებულია. უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მისი სახელმწიფო რეგისტრაცია. სამოქალაქო კოდექსის 1160 მუხლში დამატებულია თანაზიარი უძრავი ქონების ორივე მეუღლის სახელზე რეგისტრაციის აუცილებლობა, რადგან მანამდე ერთ-ერთ მეუღლეზე რეგისტრირდებოდა არსებული ქონება და მას განსაკუთრებული უფლებამოსილება ენიჭებოდა, რადგან მხოლოდ მისთვის წარმოიშობოდა საკუთრების უფლება.

ქორწინების ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში იმ ქონების ჩართვას, რომელიც თითოეულ მათგანს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა. ასეთი ქონება მათი ინდივიდუალური საკუთრებაა და მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა თითოეული მეუღლის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება. ქორწინების მომენტთან მეუღლეთა ქონების ინდივიდუალური და თანაზიარი საკუთრების ხასიათის დაკავშირება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინების შემდეგ შეძენილი ყველა სახის ქონება აუცილებლად თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს, თანაზიარი იქნება მხოლოდ ის ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრებით და განკუთვნილია საერთო სარგებლობისათვის.[77]

76

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.157: გამომცემლობა "მერიდიანი".

77

მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად. თუ ქონება, შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრების საფუძველზე, მაგრამ განკუთნილია ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისთვის, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად. თუმცა ეს საკითხიც სადაოა რადგან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარად, ქონების სამართლებრივი რეჟიმის ტრანსფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონების ღირებულება რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის მიერ დადგენილი ეს ზოგადი წესი არ გამოიყენება, თუ მეუღლეთა შორის დადებული საქორწინო კონტრაქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად შესაძლებელია კონტრაქტით მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ინდივიდუალური საკუთრების ყველა ობიექტი ან ნაწილი ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებად. თუ ერთი მეუღლე თავის ინდივიდუალური საკუთრების ქონებას სარგებლობაში გადასცემს მეორე მეუღლეს ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრს, ამით მისი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება. ასეთი ქონება კვლავ ინდივიდუალური საკუთრების ობიექტად ჩაითვლება.[78]

§4.1 მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი საქორწინო ხელშეკრულების დროს

საერთო ქონების გაყოფის საკითხი, ჩვეულებრივ, განქორწინების დროს დგება. მათ ეს თანაზიარი საკუთრება ეკუთვნით თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად,

---

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.159: გამომცემლობა "მერიდიანი".

78

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.161-162: გამომცემლობა "მერიდიანი".

თითოეული მათგანის წილის განსაზღვრა ხდება ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მიერ თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვის შემთხვევაში.

განქორწინება იწვევს არამარტო პირადი, არაქონებრივი ხასითის ურთიერთობათა, არამედ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეწყვეტასაც და ამასთანავე წყდება თანაზიარი საკუთრების უფლებაც.

აქედან გამომდინარე ქონების იმ ნაწილის გაყოფა ხდება, რომელიც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. ასევე არსებობს იმის საშუალება, რომ მეუღლეებმა თანაზიარი ქონება გაიყონ ქორწინების განმავლობაშივე, იმ შემთხვევაში ხდება ეს როდესაც მეუღლეები სხვადასხვა მიზეზების გამო, იძულებულნი არიან ცალ-ცალკე იცხოვრონ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს რომელიმე მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან თუნდაც რომელიმე მეუღლის სხვა რეგიონში გადაცხოვრება ხანგრძლივი პერიოდით. თუ მეუღლეები ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მათ მიერ შეძენილი ქონებაც თანაზიარ საკუთრებად ჩაითვლება, გარდა იმ გამონაკლისისა თუ მეუღლეები სხვა პირობებზე არ შეთანხმდებიან. პრაქტიკაში ხშირია ის ფაქტი, რომ თუ კი მეუღლეები ხელშეკრულებაში ჩადებენ იმას, რომ მათ ინდივიდუალურ ქონებად მიიჩნიონ ის ნაწილი, რომელიც თითოეულმა მათგანმა თავისითვის შეიძინა და მხოლოდ თვითონ იყენებს მას, ეს შეიძლება იყოს ავტომობილი ან თუნდაც სახლი, ამ დროს ასეთი ქონება მეუღლეებს შორის არ გაიყოფა.[79]

საერთო ქონების გაყოფა შეიძლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების შემთხევაშიც, მაგალითად, ერთად ცხოვრების პერიოდში საერთო ქონების გაყოფის აუცილებლობის საკითხი შეიძლება მაშინ დადგეს, როცა ერთ-ერთ მეუღლეს საკმაო სახსრები სჭირდება პირველი ქორწინებიდან შვილისთვის ან მშობლისთვის

79

შენგელია, რ. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ:164-166.

მატერიალური დახმარების გასაწევად და მეორე მეუღლე ნებას არ რთავს აგარაკის ან რომელიმე ნივთის გაყიდვაზე ამიტომ თუ ქონება არ გაიყო, ისე წილის გაყიდვა შეუძლებელი იქნება. ეს კი საფუძვლად ედება თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნას.[80] როდესაც თანაზიარი საკუთრების გაყოფის დროა, ამ დროს როგორც თითოეულის კუთვნილი წილის განსაზღვრაა აუცილებელი, ასევე აუცილებელია ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის ბედის განსაზღვრაც. ამ საკითხებს როგორც წესი თვითონ მეუღლეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მათ შეუძლიათ რომ საერთო ქონების გაყოფის აქტი შეადგინონ და იგი სანოტარო წესით დაამოწმონ. ამდროს სანოტარო ორგანოს შეუძლია მეუღლეთა მოთხოვნის საფუძველზე გასცეს ეს მომწობა თანაზიარ ქონებაში თითოეული მეუღლის წილის შესახებ. როდესაც მეუღლეები ვერ თანხმდებიან ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ამ დროს დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. დღესდღეობით პრაქტიკაში ნაკლებია ის ფაქტი რომ დავა წარმოიშვას ქონების გაყოფაზე მეუღლეებს შორის როდესაც ისინი ისევ ქორწინებაში იმყოფებიან, ამიტომ სასამართლო ძირითადად განქორწინების დროს ერევა მეუღლეთა შორის წამოჭრილ ქონებრივი დავის გადაწყვეტაში. სასამართლო განსაზღვრავს თითოეული მეუღლის წილს საერთო საკუთრებაში და ასევე იმასაც გადაწყვეტს თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს.

კანონმა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა წინასწარ განსაზღვრა, ასეთი ქონებაა პროფესიული საქმიანობის საგნები. სამოქალაქო კოდექსის 1165-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე პროფესიული დანიშნულების საგნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეუღლეთა საერთო სახსრებით იყო შეძენილი, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ისინი თავისი საქმიანობისთვის იყენებენ, მაგალითად მუსიკოსს

80

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.163: გამომცემლობა "მერიდიანი".

მუსიკალური ინსტრუმენტების მიკუთვნება, ექიმს-საექიმო მოწყობილება, კოლექციონრეს-კოლექცია და ა.შ. მეუღლეთა თანაზიარი ქონების ასეთმა, ერთი შეხედვით, არათანაბარმა გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესების შელახვა.[81] მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სასამართლომ ჯერ უნდა გამორიცხოს ყველა ის ნივთი, რომელიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს, შემდეგ კი უნდა დაადგინოს საერთო ქონების ოდენობა ნივთობრივი და თანხობრივი გამოხატულლებით. თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად, მათ მიეკუთვნებათ თანაზიარი საკუთრების ობიექტები ნატურით ან ფულადი გამოხატულებით. ქონების ნატურად გაყოფის დროს შესაძლებელია ცალკეული ნივთები თავისი ღირებულების მიხედვით თანაბრად არ გაიყოს და ერთ-ერთი მეუღლის წილად აღმოჩნდეს უფრო მეტი ღირებულების, ვიდრე მისი წილის შესაბამისი იყო. ასეთ შემთხვევაში ზედმეტად მიღებული ქონების კომპენსაცია უნდა მიეცეს მეორე მეუღლეს.[82] მაგრამ თუკი ერთ-ერთმა მეუღლემ საერთო ქონების ნაწილი გამოიყენა მისი ან ოჯახის სხვა წევრების მოსავლელად და სარჩენად იმ პერიოდში, როცა მეორე მეუღლე მას არ ეხმარებოდა, ეს ფაქტი სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და მისი კუთვნილი წილი ამის გამო არ უნდა შემცირდეს.[83]

ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით შეძენილი ქონების გაყოფისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა შეიძლება არსებობდეს არა მთელ

81

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.164: გამომცემლობა "მერიდიანი".

82

რ.შენგელია, ე. (2013). *საოჯახო სამართალი.* თბილისი, გვ.164-165: გამომცემლობა "მერიდიანი".

83

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი, გვ: 119: გამომცემლობა "სამართალი".

საერთო ქონებაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე. სამოქალაქო კოდექსის 1167-ე მუხლის თანახმად საერთო ქონების ნაწილის გაყოფისას, აუცილებელია მთელი თანაზიარი საკუთრების ოდენობის გარკვევა და თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად, მისი მატერიალური ან ფულადი გამოხატულების დანაწილება მეუღლეთა შორის. ქორწინების პერიოდში საერთო ქონების ან მისი ნაწილის გაყოფის შესახებ შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება, შეიძლება მეუღლეთა სურვილის საფუძველზე გაუქმებულ იქნეს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა განცალკევებული ქონება კვლავ ჩაითვლება თანაზიარ საკუთრებად.[84]

§4.2. საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ

საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს ჩართულობას კანონი ითვალისწინებს. კანონის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს, სავალდებულოა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარისთვის. როცა ეს მოთხოვნა არ სრულდება, შეიძლება იგი ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაბათილების საფუძელი გახდეს, ეს იმ შემთხვევაში შეწყდება თუ პირობა დგება ხელშეკრულების დადებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ და გაბათილდება თუ ხელშეკრულება მხოლოდ ასეთ პირობებზეა აგებული. კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს აქტიურ ჩარევას. კერძოდ, დაინტერესებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მას. ამისათვის სასამართლოს უნდა გააჩნდეს პატივსადები

84

სს კოდექსის კომენტარი, წიგნი 5. (2000). თბილისი, გვ: 120: გამომცემლობა "სამართალი".

მიზეზები. ასეთია მაგალითად, ერთ- ერთი მეუღლის მიერ შრომისუნარიანობის დაკარგვა. მისი ინდივიდუალური საკუთრების ყველა მნიშვნელოვანი ღირებულების ნივთის გადასვლა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში და სხვა. ზოგადად კანონმდებლობა განამტკიცებს მეუღლეთა კანონისმიერ ქონებრივ რეჟიმს, რომელიც ექვემდებარება საერთო წესს, განქორწინების შემთხვევაში ქონების გაყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ მხარე ირჩევს სახელშეკრულებო ქონებრივ ურთიერთობას და ადგენს ქონების განაწილების განსხვავებეულ წესს, ბუნებრივია, ერთ-ერთი მხარე ყოველთვის დაზარალებული იქნება და კონტრაქტი შედგება მის საზიანოდ, თუმცა საზიანობა უნდა განიმარტოს ადეკვატურად, თბითონ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე ამ ყველაფრის დადგენა ევალება სასამართლოს და უშუალოდ იგი ერევა ამ დავაში.

§4.3. სასამართლო პრაქტიკა საქორწინო ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებზე

საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი დავები გვაქვს საოჯახო სამართალში განხილული, შეგვიძლია განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, რომელმაც მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მხარეთა შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლის მოთხოვნის ნაწილში. დავის დროს მოსაჩელე ითხოვდა მეუღლესთან 2005 წლის 3 აგვისტოს დადებული საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლას, რადგან იგი განმარტვადა, რომ იგი იმყოფებოდა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, ამბობდა რომ მოპასუხე მძიმე და უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა მას. მხარეებმა მათ შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულებით, ქორწინებამდელი და ქორწინების განმვალობაში შეძენილი ძვირფასეულობის მიმართ დაადგინეს საერთო საკუთრების რეჟიმი, ხოლო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, დაადგინეს მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრება, თუნდაც იგი ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილიყო ამ ქონების

ღირებულება. აქედან გამომდინარე მათ შეცვალეს მეუღლეთა საერთო ქონებისათვის დადგენილი წესი. ქორწინების დროს შეძენილი ძვირფასეულობა, ძვირფასი ლითონებით და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები არ ჩაითვლებოდა ინდივიდუალურ საკუთრებად, თუ მისი ღირებულება იქნებოდა 500 აშშ დოლაზრე მეტი და განქორწინების დროს გაიყოფოდა როგორც საერთო საკუთრება. ამიტომ მოპასუხე ვალდებული იქნებოდა მოსარჩელისთვის გადაეცა საცხოვრებელი ბინა, რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 12 000 აშშ დოლარზე მეტს, თუ მათ ეყოლებოდათ საერთო შვილი. ხოლო 6000 აშშ დოლარზე მეტი, თუ მათ არ ეყოლებოდათ საერთო შვილი. მოსარჩელე ითხოვდა შეთანხმების გაუქმებას ძვირფასეულობასთან დაკავშირებით, ასევე სურდა გაზრდილიყო იმ ბინის ღირებულება, რომელიც უნდა გადასცემოდა მას საცხოვრებლად. სასამართლოს განმარტებით, სსკ-1179-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობა რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მხარეს. 1181-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული მეუღლის განცხადებით, პატივსადები მიზეზის არსებობისას, შესაძლებელია სასამართლოს მიერ შეცვლილი იქნას კონტრაქტის ის პირობა, რომელიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მხარეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, რომ სადავო პირობები იწვევდა მის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას, ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, 1176-ე მუხლის შესაბამისად არ არსებობდა ხელშეკრულების პირობების შეცვლს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძლები და არ დააკმაყოფილა ეს დავა.[85]

85

კოხრეიძე, ლ. მ. (14.03.2013). *თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.*

დასკვნა

ამდენად, წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით მაქსიმალურად შევეცადეთ შეგვესწავლა ისეთი საკითხები, რომელიც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების მოქმედებას ჩვენს რეალობაში. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აღნიშნული ინსტიტუტის 22 წლიანი არსებობისა ქართულ კანონმდებლობაში, პრაქტიკაში იგი ნაკლებადაა რეალიზებული, მიზეზი კი ჩვენი საზოგადოების მენტალობაა, რადგან ჯერ კიდევ არასერიოზული დამოკიდებულება იგრძნობა საქორწინო კონტრაქტის არსებობის მიმართ.

ჩვენი აზრით, საქორწინო კონტრაქტი ისეთივე ხელშეკრულებაა, რასაც ჩვეულებრივ ფიზიკური და იურიდიული პირები ითვალისწინებენ უფლება-მოვალეობების წარმოშობის შემთხვევაში, ერთი განსხვავებით, ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობს ცოლ-ქმარი და უფლება-მოვალეობებიც პირადი ურთიერთობების საკითხებს ეხება.

საქართველოში ჯერ-ჯერობით არ იგრძნობა სანდოობა ამ ხელშეკრულების მიმართ, ვინაიდან საზოგადოების დიდი ნაწილი დაკავებულია ყოფითი, სოციალური, პირადი და სხვა პრობლემებით. წარსულმა ცხოვრებამ და დღვანდელმა ყოფამ გვიჩვენა, რომ საქორწინო ხელშეკრულება განვითარების მნიშვნელოვან გზას ადგას. იმისათვის, რომ აღნიშნული ინსტიტუტი საქართველოში სათანადოდ განვითარდეს დასაქორწინებელმა წყვილმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ ის სამართლებრივი საფუძვლები, რასაც საქორწინო კონტრაქტი ითვალისწინებს.

ხშირად საზოგადოებამ, არც კი იცის აღნიშნული ინსტიტუტის არსებობის შესახებ, ამიტომაც იწყება ქონებრივი დავის შემთხვევაში მეუღლეებს შორის გაუთავებელი

სასამართლო პროცესები. როგორც ნაშრომზე მუშაობის პროცესში აღმოვაჩინეთ არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები, რაც აუცილებელია აღმოიფხვრას და მაქსიმალურად დაიხვეწოს. კარგი იქნება თუ გავიზიარებთ განვითარებული ქვეყნების მოქმედ კანონმდებლობაში არსებულ რეგულაციებს, რაც საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ საქორწინო კონტრაქტის სრულყოფილი მარეგულირებელი ნორმები, რომელიც შესაბამისობაში იქნება ქართულ კანონმდებლობასთან. ვფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული ინსტიტუტის ამოქმედება მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს მეუღლეთა შემდგომი ცხოვრების ცივილურ განვითარებას.

აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, კანონმდებელმა მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საქორწინო კონტრაქტის ბუნება ისეთი ფორმით, რომ საზოგადოებამ შეძლოს სწორად აღიქვას მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს მეუღლეებს შორის წარმოშობილი ქონებრივი დავების უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

,

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2017
2. ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000.
3. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ.1996.
4. ლ. შოშიაშვილი, ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2003.
5. მ. კარტოზია, საქორწინო ხელშეკრულება, დისერტაცია, თბ., 2004.
6. ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები, ჟ. „სამართალი", 2002 წ. N5-6.
7. ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში, დისერტაცია, თბ., 2004.
8. ლ. ჭიღლაშვილი, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დისერტაცია, თბ. 2016.
9. ლ. ჭიღლაშვილი, ქორწინების ფორმები. სამეცნიერო ჟურნალი, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი N2, გვ. 98-104, თბ. 2012.

10.ე.კუსიანი საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf ავტორი: სტატია 2012 საქორწინო კონტრაქტის მიზანი 5-6-8 გვ. 1

10. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2002.
11. ნ. ნაჭყებია, მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტების მიხედვით. ჟურ. „მართლმსაჯულება", N3, 2008.

12. ე. ზარნაძე, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ქართული სამართლის მიმოხილვა, N1, 2007.
13. ნ. გადელია, საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(23), 2009.
14. დ. ლობჟანიძე, მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2013.

15.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000.
16.რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2017.

ინტერნეტ-გვერდები

. თ. ჩიხრაძე საქორწინო ხელშეკრულება, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი 2 https://openscience.ge/bitstream/1/912/1/samagistro%20chikhradze.pdf ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი თამუნა ჩიხრაძე საქორწინო ხელშეკრულება, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი გიორგი რუსიაშვილი თბილისი 2019 წელი.

სამოქალაქო განათლება ყველასთვის. სტატია https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38 თავი 4, გაკვეთილი 38

matsne.gov.ge

https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109

myadvokat. https://www.myadvokat.ge/ka/blog/10134/ra-aris-xandazmuloba-da-ra-xdeba-misi-gasvlis-shemdgom რა არის ხანდაზმულობა და რა ხდება მისი გასვლის შემდგომ.2017.10.31

netgazeti. სტატია https://netgazeti.ge/news/345099/

http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf

https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%97---%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%97-%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/29806928.html

https://www.notary.ge/geo-2324-2015-cels-12-saqorcino-xelshekruleba-gaformda

http://eprints.iliauni.edu.ge/371/1/Marriage%20contract.pdf

https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D/

https://commersant.ge/ge/post/ras-gulisxmobs-saqorwino-kontraqti-da-ra-upiratesobebi-aqvs-mas